ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 22 (1460) 17-20 ივნისი, 1996 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თენგიზ კიტოვანი: ჯაბამ ჩამოიყვანა თავისი მახრჩობელა

მე-2 გვ.

## მომავლის ბედი გაყრას ითხოვს, ჩემგან მსხვერპლადა... და ამიტომაც გაგიმეტეთ დასასჯელადა...



### ნოდარ ნათაძე

## კითხვა და პასუხი

«გვეშველება?» – «ამათ ხელში-არა, საერთოდ-კი»

მე-4 გვ.

### ვაი, ჩვენო ქართველის ბედო!

## «ოსები და სომხები მხარდამხარ იცავდნენ მშობლიურ ოსეთს ქართველი აგრესორებისაგან»

მე-3 გვ.

### ფრანგული პრესიდან

## ვინ მოკლა დუდაევი?

მე-4 გვ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ იყო ვინ?

# 29 საჭირბოროტო შეკითხვა და თენგიზ კიტოვანის პასუხები

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ № 19, 2021

## თენგიზ კიტოვანი:

# ჯაბამ ჩამოიყვანა თავისი მახრჩობელა

25.

თქვენი დაპატიმრების მიზეზად იქცა აფხაზეთისკენ მებრძოლების წაყვანა. აყვანის ოპერაცია ჩაატარა ი.გიორგაძემ. რა და როგორ იყო სინამდვილეში. მაღალ ეშელონებში ვინ იცოდა თქვენი განზრახვის შესახებ?

26.

როგორ გადაწყდა შევარდნაძის ჩამოყვანა?

27.

გაქვთ თუ არა შურისძიების გრძნობა თქვენი დამპატიმრებლების მიმართ?

28.

რა მიგაჩნიათ დაშვებულ შეცდომებად?

29.

რას ისურვებდით თქვენთვის და საქართველოსთვის ციხის საკნიდან?

?

25.

— [illegible] 10-ში თუ 11-ში [illegible]



26.

— [illegible]

27.

— [illegible]

28.

— [illegible]

29.

— [illegible]

P.S. [illegible]

მოამზადა ბუბა მეგრელიძე.

თ.კიტოვანს, მისი და თ.სიგუას ინტერვიუს ზოგიერთი ადგილის დასაზუსტებლად, მაგალითად, როგორ მოხდა ზ.გამსახურდიას გასვლის ორგანიზება თბილისიდან 1992 წლის 6 იანვარს, და სხვა საინტერესო, მხოლოდ მისთვის ცნობილ საკითხებზე, გაუგზავნეთ დამატებითი კითხვები, რომლებსაც პასუხებთან ერთად შემოგთავაზებთ მომდევნო ნომერში.





ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვაი, ჩვენო ქართვლის ბედო!

# „ოსები და სომხები მხარდამხარ იცავდნენ მშობლიურ ოსეთს ქართველი აგრესორებისაგან“

**ამ დღეებში** სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში ერთდღიან სამუშაო ვიზიტად იმყოფებოდა საქართველოს რესპუბლიკაში სომხეთის რესპუბლიკის ელჩი ბატონი ლევონ ხაჩატურიანი და საელჩოს თანამშრომელი, მისი თანმხლები კულტურის დარგში აშოტ კიროკოსიანი. მათთან ერთად იყვნენ ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის წევრები ლასლო ბელადი და იგორ ტიმოევი.

ქალაქის შესასვლელთან სტუმრებს დახვდნენ საგარეო კავშირების სამინისტროს მუშაკები, დიმიტრი მედოევის ხელმძღვანელობით.

სტუმრები მიიღო სამხრეთ ოსეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ლუდვიგ ჩიბიროვმა. მიღებას ესწრებოდნენ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ა.კოჩიევი და სამხრეთ ოსეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კ.ფუხაევი.

სტუმრებს გააცნეს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკ-ური ცხოვრება. თავის მხრივ ლევონ ხაჩატრიანმა მოუთხრო მისი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში ჩამოსვლის მიზეზი. შესთავაზა უახლოეს დროში თანამშრომლობის კონკრეტული გეგმები.

სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა სტუმრებს და გამოთქვა თანხმობა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის.

შემდეგ სტუმრები მიიღო უმაღლესი საბჭოს კავშირების კომიტეტის თავმჯდომარემ ა.კოჩიევმა. მიღებას ესწრებოდა საბაჟო სამმართველოს უფროსი რ.გაგიევი.

დღის მეორე ნახევარში სტუმრები შეხვდნენ ცხინვალში მცხოვრებ სომხებს. ისაუბრეს სამხრეთ ოსეთში სომხური კულტურისა და განათლების განვითარებაზე.

ლევონ ხაჩატრიანი მათ ესაუბრა სომხეთში პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე, რესპუბლიკის განვითარების პერსპექტივაზე.

შეხვედრაზე სიტყვებით გამოსულმა სომხებმა გამოთქვეს თავიანთი მადლობა ხალხისადმი, რომლებთანაც ცხოვრობენ მეგობრულად და სისტემატიურად გრძნობენ მეგობრულ მხარდაჭერას. ოსები და სომხები მხარდამხარ იცავდნენ მშობლიურ ოსეთს ქართველი აგრესორებისაგან, ერთად აღადგენენ დანგრეულ სახალხო მეურნეობას, სჯერათ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უკეთესი მომავლისა. ელჩმა უპასუხა დამსწრეთა მრავალსახსოვარ შეკითხვებზე.

შოთა თუაევი,

გაზეთი „იუჟნაია ოსეტია“, №24 1996 წ.

### კომენტარი პოეტის ლექსით

საქართველოზე
ვინც ამჟამად
კბილებს ილესავს, —
ღვთის რისხვას იწვნევს, —
უეჭველად, —
ის საშინელსა!

დროა, —
შეიგნოს ყველა ბრიყვმა
ერთხელ და მარად:
ამქვეყნიური
საქართველოს
არ იცავს ძალა!

წაქცევა მისი, —
ნუ ჰგონია, —
ნურვის იოლი! —
სული აცვია
საქართველოს
კავკასიონის!

მუხრან მაჭავარიანი



# მიდიან ახლები, მოდიან ძველები

## რეზო შავიშვილმა გააკეთა განცხადება გადადგომის შესახებ

**14 ივნისს**, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კონტროლის პალატის თავმჯდომარემ, რეზო შავიშვილმა, თანამდებობიდან გადადგომა მოითხოვა. მიზეზად დაასახელა, რომ კონტროლის პალატის მუშაობისათვის მომავალში საკმარისი არ იქნებოდა მისი პროფესიული მომზადება და დონე, ასევე ჯანმრთელობის მდგომარეობაც არ უწყობს ხელს ამხელა დატვირთვას გაართვას თავი.

ამ განცხადების შემდეგ მეგონა პარლამენტი აბობოქრებულ ზღვას დაემგვანებოდა, მაგრამ დეპუტატთა რეაქცია ისეთი იყო, თითქოს დიდი ხანია ელოდნენ ამას და საპროტესტო სიტყვებიც „ნუ გადადგებით“, წინასწარ გაზეპირებული ჰქონდათ. თუმცა, ჩვენი დღევანდელი პარლამენტი ისეთია, თუ დეპუტატს რაიმე მატერიალური ან პიროვნული საშიშროება თავად არ ემუქრება, შეიძლება მათთვის საყვარელი პრეზიდენტის გადადგომასაც კი აკადემიური სიმშვიდით შეხვდნენ, ხოლო ზოგიერთი თუ თავად გადარჩა, ბომბმა რომ იბუთქოს, მხოლოდ იმით თუ შეწუხდება, ეს რა ბრაგა-ბრუგი მესმისო...

კაცმა რომ თქვას, მეორე მხრივ, დეპუტატთა მშვიდი რეაქცია არც გასაკვირია. რადგან არათუ პარლამენტი, არამედ ქვეყნის ბედით დაინტერესებული საზოგადოების ნაწილიც უკვე დიდი ხანია ელოდა, საით გადაიხრებოდა სასწორის პინა.

თუ გავითვალისწინებთ საქართველოში მიმდინარე პროცესებს, როდესაც მკვდრეთით აღდგენილი, რალაც მანქანებით ძალამოცემული და სახეშეცვლილი კომუნისტური ძალაუფლება ისევ მკვიდრდება, ავლენს დიქტატურისათვის დამახასიათებელ ყველაზე მახინჯ ფორმებს, დაწყებული თავკომბალასავით გაზრდილი კორუმპირებული ბიუროკრატიული აპარატით, დამთავრებული ფორმით სხვადასხვა, მაგრამ შინაარსით ერთიანი, მხოლოდ ამ თავკომბალას დამცავი, დამსჯელ-ჩაფართა არმიით; ამ ფონზე სულაც არაა გასაკვირი, რომ დემოკრატიული ტიპის ახალმა ინსტიტუტმა, როგორიცაა კონტროლის პალატა, ვერ იარსებოს. მითუმეტეს, ვერ იარსებოს იმ სახით, როგორიც მას რეზო შავიშვილმა მისცა. კონტროლის პალატის ხელმძღვანელი დღიდან რეორგანიზაციისა, იღწვოდა იმისათვის, რომ ქვეყანა ნორმალური სამართლებრივ-დემოკრატიული გზით წასულიყო. ამ მძიმე პერიოდში სახელმწიფოში ჯერ კიდევ არსებული, თუ დახმარებით შემოსული ყველა კაპიკი აღრიცხული და სწორად, ქვეყნის საჭიროებისათვის ყოფილიყო გამოყენებული და არა ვილაცეების სკლეროზული ღორმუცელობის დასაკმაყოფილებლად.

ჯერ კიდევ 1993—94 წლის კონტროლის პალატის ანგარიშმა ხელისუფლების გარკვეულ წრეებში პანიკა გამოიწვია. ნორმალურ ქვეყანაში მას მაღალი ეშელონების რამდენიმე პირის პასუხისგებაში მიცემაც მოჰყვებოდა, მაგრამ ჩვენთან რამდენიმე მეორეხარისხოვანი მავანთა ნების აღმასრულებელი მოიშორეს და ამით დაკმაყოფილდნენ. კონტროლის პალატამ ვერ შესძლო ფართო საზოგადოების განხილვის საგნად გაეხადა ქვეყნის კატასტროფიული მდგომარეობის ამსახველი ეს დოკუმენტი. ოპოზიციამაც, ეტყობა, ამისათვის ვერ მოიცალა და დარღვევათა უმეტესობა ქვეყანაში არსებულ ქაოსურ ეკონომიკურ პროცესებსა და კრიმინოგენურ ვითარებას მიეწერა. არადა მაშინ კონტროლის პალატის ანგარიშის სერიოზული გააზრება საზოგადოების იმდენად გათვითცნობიერებას მაინც გამოიწვევდა, რომ მოქალაქეები მიმხვდარიყვნენ, ქვეყნის ბიუჯეტი არა მარტო ხელისუფალთა გარჩევის საგანია, არამედ თითოეული მოქალაქის ბედი ამ ბიუჯეტზეა დამოკიდებული. იქნებ მაშინ არჩევნებიც ცოტა სხვაგვარად ჩატარებულიყო და თუ მაინც დღევანდელ პარლამენტს მივიღებდით, მთავრობის შემადგენლობის წარდგენისას ზოგიერთ გვარს მაინც მოერიდებოდნენ დასამტკიცებლად.

დიდი წვალებით, ეკონომიური კრიზისით, ინფლაციით დაოსებულ-დაავადმყოფებულმა ჩვენმა მოსახლეობამ მესამე მძიმე ზამთარი გადაიტანა. დამტკიცდა ახალი, 1996 წლის ბიუჯეტი, რომელიც მთლიანად სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის კრედიტის ხარჯზეა შექმნილი. მთავრობას კი მაისამდე არ წარუდგენია ანგარიში წინა, 1995 წლის ბიუჯეტის შესრულებაზე. როგორც იქნა მთავრობამ ინება და პარლამენტს ანგარიში წარუდგინა. იმ დღეს, 17 მაისს, პარლამენტის წინაშე გამოვიდა რეზო შავიშვილი, რომელმაც ისაუბრა, თუ რას მოხმარდა საბიუჯეტო თანხები, რამდენი შემოსავალი აქვს სახელმწიფოს და რამდენი თანხა დახარჯა მთავრობამ ბიუჯეტს ზევით. მოხსენებას, რომელსაც ზედ ერთვოდა დაწვრილებითი ნუსხა მთავრობის მიერ თვითნებურად, პარლამენტის გვერდის ავლით, ბიუჯეტს ზევით გაწეული თანხების შესახებ, დეპუტატთა აღშფოთება მოჰყვა. მაგრამ, როგორც ყოველთვის, დეპუტატებმა ორთქლი გამოუშვეს და სხდომის ბოლოს გასული წლის ბიუჯეტის შესრულებას დაეთანხმნენ, კონტროლის პალატის მონაცემების შესწავლა კი პროკურატურას გადასცეს. კონტროლის პალატას კი დაევალა წელიწადში ორჯერ პარლამენტისთვის წარედგინა ანგარიში მიმდინარე ბიუჯეტის შესრულების შესახებ. უმრავლესობის წევრებმა ასეთი გადაწყვეტილება მხოლოდ იმით ახსნეს, რომ ფინანსთა მინისტრის იმპიჩმენტი არასოდეს არ იქნებოდა გვიან. ფარული დაპირისპირება, რომელიც წლების მანძილზე მიმდინარეობდა და რომელმაც ჯერ კიდევ მარტში რეზო შავიშვილი აიძულა პრეზიდენტისათვის გადადგომა ეთხოვა, ახლა უკვე ღია ბრძოლად გადაიქცა. პირველ რიგში, ამ ერთი თვის განმავლობაში ხელისუფლების უმაღლესმა ეშელონებმა შესძლეს, რომ რაც შეიძლება ნაკლები ინფორმაცია გასულიყო კონტროლის პალატის მოხსენების შესახებ საინფორმაციო საშუალებებით. თვით რეზო შავიშვილიც არ თვლიდა საჭიროდ დიდი ხმაურის ატეხვას, თუმცა სარწმუნო წყაროებიდან ცნობილია, რომ ინტენსიური მუქარა, კონტროლის პალატის შიგნით ინტრიგათა ქსელი და აბსურდამდე მისული, საზოგადოებაში გავრცელებული ჭორები, მართლაც, საფრთხეს უქმნიდა მის როგორც ფსიქოლოგიურ, ასევე ფიზიკურ ჯანმრთელობას. დიდი მარჩიელობა არ სჭირდებოდა იმას, რომ კაცი, რომელიც სახელმწიფო ინტერესებს მუდამ წინა პლანზე აყენებდა და ამ ინტერესებიდან გამომდინარე არ ჩქმალავდა უმაღლეს ეშელონებში

გაგრძელება მე-8 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „გვეშველება?“ — „ამათ ხელში-არა, საერთოდ — კი“

## კითხვა და პასუხი

ნოდარ ნათაძე

ამ კითხვას უსვამენ არა ერთ რომელსამე პიროვნებას ან პოლიტიკურ ორგანიზაციას, არამედ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მთლიანად — უსვამენ ქუჩაში, ტროლეიბუსში, ოჯახში. „გვეშველება?“ პასუხია: „ამათ ხელში — არა, საერთოდ — კი“. შემდეგი კითხვაა: „როდის? კიდევ ოთხი წელიწადი ვითმინოთ?“ პასუხია: „თავს რომ ვუშველოთ, საჭიროა ხელისუფლების შეცვლა, მაშასადამე — არჩევნები. გვინდა თუ არ გვინდა, საქართველოს დასჭირდება სამწლიანი ძალისხმევა, რომ არჩევნებისათვის ამჯერად მაინც კარგად მოვემზადოთ და მოვიგოთ“. კიდევ კითხვა: „მანამდე რა ვქნათ? გულხელდაკრეფილნი ვიყოთ და მშვიდად ვუყუროთ ჩვენი ქვეყნის ნგრევას?“ პასუხი ასეთია: „არა, არ ვუყუროთ. გასაკეთებელი ძალიან ბევრია და არჩევნებამდისაც ბევრი რამით შეიძლება ერს და ქვეყანას დავეხმაროთ, თუ გული გვერჩის“.

მე პირადად საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესაძლებლობებს და მისი მოქმედების ძირითად ფორმებს დღეს ასე ვხედავ:

— ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზანია საქართველოს სახელმწიფოს შენება და ამ შენებისათვის ყველა საჭირო წანამძღვრების შექმნა. საქართველოს დამოუკიდებლობამდე და საქართველოში ეროვნული ხელისუფლების არჩევამდე რუსეთის იმპერია ცდილობდა საქართველოში ძლიერი სახელმწიფო აპარატის შექმნას (სუკი და სხვა) საქართველოს წინააღმდეგ მისი გამოყენების მიზნით. დღეს, საქართველოს იურიდიული დამოუკიდებლობის პირობებში, იგი თავისი აგენტურისა და მარიონეტული ძალების გამოყენებით ცდილობს საქართველოში სახელმწიფოებრივი მშენებლობის ჩაშლას. შესაბამისად, ქართული სახელმწიფოებრიობის შენება (დღევანდელ გაძნელებულ პირობებში), რეალურად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამოცანა ხდება.

— მმართველი გუნდი არ აშენებს საქართველოს ეკონომიკას და არ უწყობს ხელს მის განვითარებას, პირველ ყოვლისა — მისი ყველაზე ჯანსაღი ნაწილის — წარმოების გამოცოცხლებას. მისი გაცოცხლება და ამ მიზნისაკენ მიმართული ძალების ორგანიზება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამოცანაა.

— სახელმწიფოს მმართველი გუნდი არ ქმნის და არ შექმნის (ვერ შექმნის) საჭირო რაოდენობისა და ხარისხის სამხედრო კადრს, რომელიც შეიარაღებული ძალების ხერხემალია. ამიტომ ამ ამოცანის სიმძიმე თავისთავზე უნდა აიღონ საქართველოს ეროვნულმა ძალებმა ანუ იმ ადამიანებმა, ვისაც განზრახული და გადაწყვეტილი აქვს თავისი ცხოვრება ქვეყნის განთავისუფლებასა და განმტკიცებას მოახმარონ. ჩვენ ჩვენი წრიდან უნდა მოვუყაროთ თავი ამისათვის შესაფერის ადამიანებს, უნდა აღვზარდოთ ისინი და ყველა მისაწვდომი სახის ცოდნა და წვრთნა მივცეთ მათ, რათა მაქსიმალურად მივუახლოვოთ ისინი სათანადო სპეციალობის სრულყოფილ დაუფლებას. სახელმწიფოს მმართველი გუნდი არ ქმნის (და ზემოაღნიშნული მიზეზის გამო ვერც შექმნის) სამხედრო მშენებლობის ისეთ დოქტრინას (გაშლილი საკანონმდებლო რეალიზაციითურთ), რომელიც სჭირდება დამოუკიდებელ სახელმწიფოს. ამ დოქტრინის შექმნაც ღრმა და პროფესიული გააზრებით (და ამ მიზნისთვის ეროვნულ ძალებში არსებული დიდი გონებრივი პოტენციალის და გამოცდილების გამოყენებით) აგრეთვე ეროვნული ძალების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და საპატიო ამოცანაა.

— სახელმწიფოს მმართველი გუნდი არ ებრძვის და ვერც შეებრძოლება (ხსენებული მიზეზის გამო) მეზობელი ქვეყნის სპეცსამსახურთა მრავალათასიან აგენტურას საქართველოში, რომელიც მუშაობს არა მხოლოდ დაზვერვისთვის, არამედ ჩვენ შინაგან პროცესთა კატასტროფისაკენ მიმართვისა და დესტაბილიზაციისათვის. მისი მხილება, მასთან ბრძოლის ინიციატივა კანონიერი წესით და მისი ორგანიზაციული უვნებელყოფა სამთავრობო სტრუქტურათა მაქსიმალური გამოყენებით ჩვენი ვალია.

— დღევანდელი მმართველი გუნდის ხელში სახელმწიფო არ იცავს, ან არადამაკმაყოფილებლად იცავს მოქალაქის უსაფრთხოებას. ეროვნულმა ძალებმა უნდა დაიცვან იგი. ისინი კანონიერების ფარგლებში მზად უნდა იყვნენ შესაბამის საზოგადოებრივ სტრუქტურათა შესაქმნელად იმ შემთხვევისათვის, თუ საქართველოს გარეგანი თუ შინაგანი მტრები პოლიტიკური მოსაზრებით კიდევ ერთხელ ჩათვლიან საჭიროდ ქუჩაში და ტრასებზე ქაოსის მოწყობას, როგორც არაერთხელ გვინახავს ამ წლების მანძილზე.

— სახელმწიფოს მმართველი გუნდი არ იცავს და არასოდეს არ დაიცავს საქართველოს ტერიტორიულ ინტერესებს, თუ მათი დაცვა არ არის სანქცირებული მეზობელი იმპერიის მიერ. ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ იმ უზარმაზარი უპირატესობის გამოყენებით, რომელიც ეროვნულ ძალებს პროკომუნისტურ და კორუმპირებულ მმართველ გუნდთან აქვთ ინტელექტუალური პოტენციალის მხრივ, სისტემატურად უნდა ჩაატაროს რუსეთში და სხვაგან არსებულ პოლიტიკურ მოვლენათა ანალიზი. აღმოაჩინოს და ამხილოს იმპერიული ზრახვები და კონკრეტული გეგმები და დამოუკიდებლად იქონიოს კავშირი ამ საკითხებზე გაეროსთან და სხვა ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

— ამავე პოტენციალის გამოყენებით ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მმართველი გუნდისაგან დამოუკიდებლად უნდა განავითაროს კონტაქტები მსოფლიოს სახელმწიფოთა მთავრობებთან, პრესასთან, ტელევიზიასთან და საზოგადოებრიობასთან მათთვის საქართველოს რეალური ინტერესების, ამოცანების და პრობლემების განმარტების მიზნით. კომუნისტური პროიმპერიული ძალების დღევანდელი თითქმის სრული მონოპოლია მსოფლიოსთან პოლიტიკურ თემებზე კონტაქტის მხრივ უმოკლეს ვადაში უნდა დამთავრდეს.

— ამავე პოტენციალის გამოყენებით ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ უნდა ადევნოს თვალი საკანონმდებლო საქმიანობის პროცესს და ამიტომ მუდამ მზად უნდა ჰქონდეს შესაბამის სფეროებში საკანონმდებლო პროექტთა პაკეტი, რომელსაც მოითხოვს საქართველოს ინტერესები. წინააღმდეგ მაფიებისა, კორუმპირებული აპარატისა, უკანონო გზით დაფინანსებული მმართველი პარტიისა და უკანონო გზით დაფინანსებული სხვა ორგანიზაციებისა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ საქართველოს ინტერესთა წინააღმდეგ მოქმედებენ, კორუფციის გზით საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის საფუძვლის მოშლის ჩათვლით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამოცანაა ორგანიზება გაუკეთოს ჯანსაღ ბიზნესში ჩაბმული პატრიოტი მოქალაქეების საქმიან თანადგომას ერთმანეთისადმი, მათ მიერ ერთმანეთის ინიციატივათა ფინანსურ დაზღვევას და ამ გზით მათთვის შესაძლებლობის მიცემას უფრო გაბედულად და ფართოდ აწარმოონ თავისი საქმიანობა. ამ ორგანიზაციული მუშაობის მიზანია საქართველოში ჯანსაღი ბიზნესის სახით ფართო და ჯანსაღი ე.წ. „საშუალო კლასის“ შექმნა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ძლიერებისა და თავისუფლების საიმედო ზურგი იქნება.

— ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ უნდა ფხიზლად ადევნოს თვალი პროიმპერიულ სახელმწიფო აპარატთან შეზრდილი მაფიების ქმედებას, სესხების და სახელმწიფოს სხვა სიმდიდრის დატაცებას, საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრის ძარცვას, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა განიავებას. ამ პროცესთა შესახებ კურსში უნდა ამყოფოს საქართველოს მოსახლეობა.

— წინააღმდეგ საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის და მასობრივი ინფორმაციის არაერთი სხვა საშუალების კურსისა, რომლებიც ავრცელებენ არასწორ ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ, ხალხში თესავენ უიმედობასა და პესიმიზმს ყალბი იდეოლოგიის ქადაგებით, რომელიც ერთადერთი დებულებისაგან შედგება — „ქართველები უვარგისნი ვართ, მანკიერნი, უუნარონი, ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი თავის მართვა და ამიტომ რუსეთს ფეხქვეშ უნდა გავეგოთო“ — ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, ისევ და ისევ თავისი ინტელექტუალური უპირატესობის გამოყენებით, უნდა გაავრცელოს საზოგადოებაში მოვლენათა სწორი ცოდნა, მან უნდა შექმნას, განავითაროს და გააძლიეროს დემოკრატიული და ეროვნული პრესა, რადიო და ტელემაუწყებლობა.

— ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ დაუზარელად უნდა დაიცვას ე.წ. ადამიანის უფლებები, მან უშიშრად უნდა იმუშაოს სამართალდაცვის სისტემაში უსამართლობის აღკვეთისათვის, რათა არც ერთი მძიმე დამნაშავე არ დატოვოს დაუსჯელი და არც ერთი უდანაშაულო ადამიანი არ დატოვოს უსამართლობის კლანჭებში. ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, ერთის მხრივ, საქართველოს სიმდიდრის განიავების წინააღმდეგ გამოსვლით ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, რაც სახსრების მოპოვების ერთადერთი საშუალებაა სახელმწიფოს სამი ძირითადი ამოცანისათვის — თავდაცვისა, ჯანდაცვისა და განათლებისათვის, მეორეს მხრივ კი საკუთარი შრომით, სადაც ამის საჭიროება და შესაძლებლობაა, უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო ცხოვრების ამ სამი ძირითადი სფეროს განვითარება და წინსვლა.

აი ძალიან მძიმე, მაგრამ რეალური ამოცანები, რომლებიც ქართველი ერისათვის დღეს რეალური ბრძოლის ასპარეზია. მათი გადაწყვეტა გარეშე აგრესორზე, შინაგან მტერზე, შინაგან მაფიებზე გამარჯვებაა. ჩვენ უნდა მოვიპოვოთ ეს გამარჯვება.

---

### ფრანგული პრესიდან

# ვინ მოკლა დუდაევი?

ვინ იცის, მოეფინება კი ნათელი ჩეჩენი ლიდერის მკვლელობას? ხომ არ არის ეს შურისძიება, რომელიც მოჰყვა რუსული პოლკის განადგურებას? ერთი კი ცხადია, მშვიდობა, დუდაევის გარეშე, ძნელად მისაღწევი იქნება.

ამ დღეს, იაროსლავის ყველა ეკლესიის ზარი გაბმული რეკვით ამცნობდა ძველი რუსული ქალაქის მაცხოვრებელთ, რომ ქალაქს ესტუმრა რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი. „ცარების“ დროსაც ხომ ასე იყო, — რუსული მართლმადიდებელი ეკლესია მუდამ მხარში ედგა უმაღლეს გამგებელს. დღეს ეკლესია ბორის ელცინს უკმევს გუნდრუკს. მომავალ ამომრჩევლებთან შეხვედრა თავდაპირველად წესითა და რიგით მიდიოდა, მანამ, სანამ საქმეში არ ჩაერია ერთი კაფანდარა მოხუცი, სამამულო ომის ვეტერანი, რომელმაც პირდაპირ მიახალა პრეზიდენტს: „თქვენ უხეიროდ მართავთ სახელმწიფოს და ამასთან ერთად, ასაკიც არ გიწყობთ ხელს“. ბორის ელცინზე ვერავინ იტყვის, გონებამახვილი კაცია და სხარტი პასუხის დიდოსტატიაო. შეცბუნებულმა პრეზიდენტმა რ[illegible]ლაც წაიბურტყუნა, აქაოდა, ასაკთან ერთად ადამიანს სიბრძნეც ემატებაო და... ტელევიზიამ წამსვე გათიშა ხმა. რამდენიმე წუთიც და წელგამართული ელცინი, ხელში წინასწარ შედგენილი ტექსტით, ომახიანად პასუხობს კითხვებს, რომელიც ეხება, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ ჩეჩნეთს. „ჩემი ბრძანების შემდეგ ომი დასრულდა. აქა-იქ კიდევ შემორჩა ყაჩაღთა ბანდები, მაგრამ ფედერალური ძალები მათ პარპაშს ბოლოს მოუღებენ. მალე ჩეჩნეთში ჩავალ და სამმხრივ მოლაპარაკებას გავმართავ“. მე ტელევიზიასთან ვიჯექი და პრეზიდენტის განცხადებას ვუსმენდი. მართლაც, სენსაციური განცხადება იყო. ჩემს გვერდით შინაგანი ჯარების ყოფილი გენერალი სერგეი ივანოვი იჯდა. პრეზიდენტის სიტყვებმა გენერალს სიცილი მოგვარა. „ნახევარი საათით ჩავა გროზნოს აეროპორტში, ჩეჩნებთან შეხვედრა კი, უბრალოდ, ზღაპარია“ — მითხრა მან. ამ კაცს დაეჯერება, რადგან ბევრი რამ იცის ჩეჩნეთის ომზე. ახლა, მასაც, სხვებივით, ეჭვი ღრღნის, უამრავი კითხვა უტრიალებს თავში. ვინ გასცა ბრძანება, მოეკლათ დუდაევი? ვინ მოაწყო ამ რამდენიმე თვის წინ თავდასხმა გენერალ რომანოვზე, ერთადერთ ჩინოსან სამხედროზე, რომელიც მშვიდობიანი მოლაპარაკების მომხრე იყო? რა თქმა უნდა, საიდუმლო სამსახურმა, ანუ ФСБ (უშიშროების ფედერალური სამსახური), რომელიც „ნეტარხსენებული“ КГБ-ს მემკვიდრეა. „მაგრამ, — მიხსნის გენერალი ივანოვი — ФСБ-ს შეფი, გენერალი მიხაილ ბარსუკოვი კრემლის ყოფილი სამხედრო კომენდანტია და ელცინის ნებართვის გარეშე ნაბიჯსაც არ გადადგამს“.

და აი, კიდევ რა: პრეზიდენტს რომ მართლაც სურდეს ომის დასრულება, იგი განაახლებდა მოლაპარაკებას ჩეჩნეთის მხარესთან, რომელიც გასულ ზაფხულს დაიწყო. მაგრამ ამის მსგავსი არაფერი მომხდარა — პრეზიდენტს კონკრეტული წინადადება არ წამოუყენებია. პირიქით, მისმა ბრძანებულებამ გაალიზიანა სამხედროები და ჩეჩენთა სოფლების დაბომბვა კიდევ უფრო გამძაფრდა. დუდაევის მომხრეებმაც გააქტიურეს საბრძოლო მოქმედებები. 16 აპრილს, სოფელ იარმაჩორდთან, რომელსაც რუსები მშვიდობიან ზონად თვლიდნენ, ჩეჩენმა მებრძოლებმა სისხლის ტბა დააყენეს — ქვეითთა 245 პოლკი, ერთიანად განადგურდა. ბევრი ჯარისკაცი ცოცხლად დაიწვა. სისხლისღვრას დიდი გამოხმაურება მოყვა. რუსეთის დუმა-მ რამდენიმე დღეც კი მიუძღვნა ამ საქმის განხილვას. თავდაცვის მინის[illegible], პაველ გრაჩოვმა, დუმას განუცხადა[illegible] იგი არ ეთანხმებოდა ბორის ელცი[illegible] მარტის გადაწყვეტილებას და თანა[illegible]ბიდან გადადგომა ითხოვა. მაგრამ [illegible]დენიმე დღის შემდეგ, ვითომც არაფე[illegible] იგი ბორის ელცინს გაჰყვა ჩინეთში. გ[illegible]ერალ ივანოვის აზრით, რუსული პოლკ[illegible]ს ტრაგედიაში, უპირველეს ყოვლისა, ФСБ-ს მიუძღვის ბრალი. რუსეთის ჯარის დაზვერვა ყოვლად უვარგისი აღმოჩნდა, თუმცა, მზვერავი თვითმფრინავები წამდაუწუმ სერავენ ჩეჩნეთის ზეცას. მან არაფერი იცის ჩეჩენი მებრძოლების გადაადგილების შესახებ, მაშინ როცა, რუსეთის ჯარის ნაწილების მიზნები ჩეჩნებისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს. ამიტომაც იყო წარმატებული ბასაევისა და რადუევის ცნობილი რეიდები ბუდიონოვსკაიასა და ყიზლარში, ამიტომაც დაიღუპა 245-ე პოლკის თითქმის მთელი პირადი შემადგენლობა. ეს ის ბოლო წვეთი იყო, რომელმაც აავსო რუსეთის საიდუმლო სამსახურების მოთმინების ფიალა და მათ გადაწყვიტეს შური ეძიათ. მაგრამ ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ოპერაციის სულისჩამდგმელი, გენერალი ბარსუკოვი წამსვე უნდა გადაეყენებინათ თანამდებობიდან: მან ხომ მშვიდობიანი მოლაპარაკებანი ჩაშალა. დუდაევის მკვლელობა სწორედ ამას მოასწავებდა. მაგრამ ბარსუკოვი ისევ თავის პოსტზეა და რალაცეებს ჩმახავს ჩეჩენთა შორის ანგარიშსწორებაზე. ვინ იწამებს, რომ დუდაევი ჩეჩნებმა გაწირეს? გენერალი ივანოვი მიმტკიცებს, რომ დუდაევის გარეშე მშვიდობის მიღწევა ერთობ სათუო ხდება. მაგრამ იგი დარწმუნებულია, რომ ბრძანება კრემლიდან მოვიდა. „ელცინი შურისმგებელი კაცია, სწორედ აქ მარხია ძაღლის თავი“, — ამბობს იგი.

სხვა დამკვირვებლებს განსხვავებული აზრი აქვთ. ისინი თვლიან, რომ რუსეთის ხელმძღვანელობაში არეულობაა, „ძალოვანი სამინისტროების“ მეთაურები ერთმანეთს ექიშპებიან. თითოეულს სურს თავი გამოიჩინოს და ისე მოიქცეს, როგორც მოეხუშტურება. თავის მხრივ, ჩეჩენთა ახალი ლიდერი, ზელიმხან იანდარბიევი, ითხოვს, რომ მოლაპარაკების დაწყებამდე რუსეთმა დაასახელოს დუდაევის მკვლელობაში დამნაშავენი. ამის საპასუხოდ, რუსეთმა გაავრცელა ყალბი ცნობა იანდარბიევის დაღუპვის თაობაზე. დუდაევმა და მასხადოვმა კარგად ააწყვეს წინააღმდეგობის მოძრაობა. იანდარბიევი დღეს ერთადერთი ადამიანია, რომელსაც ელცინი უნდა ელაპარაკოს. მის გარეშე ყოველგვარი „სამშვიდობო შეხვედრა“ უშედეგო იქნება. ვინ იცის, რას ესწრაფვის ელცინი? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩეჩნეთის ომი იდეალური მიზეზია რუსეთის პრეზიდენტისთვის გადადოს 16 ივნისის არჩევნები, თუკი წინასაარჩევნო კამპანია მის სასარგებლოდ არ წარიმართა.

ქ. ქაროლი
ჟურნალ „ნუველ ობსერვატორიის“ სპეციალური კორესპონდენტი რუსეთში

(მაისი-ივნისი, 1996 წელი)



# დავით ხომასურიძე:
# კიტოვანმა შევარდნაძეს დაურეკა: „რა უნდა გაგრაში, რატომ მიდის?“ (ჯაბას გულისხმობდა)

**როგორი უნდა იყოს თადარიგის პოლკოვნიკი?**

**უმეტესობა ალბათ მიპასუხებს, რომ ან ჭარმაგი, ბრძოლებითა და ცხოვრების უკუღმართობით სახედალარული კაცი იქნება, ან ომის სიცივისაგან საწოლს მიჯაჭვული ხეიბარი.**

**სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ბრძოლების მონაწილე, თადარიგის პოლკოვნიკი დავით ხომასურიძე კი ენერგიით და სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა კაცია. პროფესიული ცოდნა და მომზადება არ აკლია; მაშ, რატომაა თადარიგში, დღეს ხომ ეროვნული არმიის მშენებლობა მიმდინარეობს.**



— თადარიგში უკვე მეორედ გავედი, — მპასუხობს დავით ხომასურიძე, — ეს ჩემი ხასიათიდან და პრინციპებიდან გამომდინარე გადაწყვეტილება იყო. საზოგადოება „იმედის“ დაარსებისთანავე ჩვენ მერაბ კოსტავას საფლავზე ფიცი დავდეთ, რომ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს გარეშე მტრებთან ვიბრძოლებდით. არც ერთ შემთხვევაში თანამოძმეზე იარაღს არ აღვმართავდით. სამწუხაროდ, ძალიან მალე ეროვნული გვარდია ორად გაიყო და დაიწყო სამოქალაქო ომის საშინელება. პირველად 1991 წლის შემოდგომაზე გავაკეთე. ბატონ თენგიზ კიტოვანს განვუცხადე ამ გადაწყვეტილების შესახებ. ჩავაბარეთ იარაღი და ტექნიკა და 26-ე ბატალიონმა სრული შემადგენლობით დატოვა თბილისის ზღვის ტერიტორია.

**— რა მიზეზით?**

— იმ მიზეზით, რაც ზემოთ მოგახსენეთ. დაემატა კიდევ ერთი ფაქტიც, რომელზეც ახლა არ ღირს ლაპარაკი.

**— მეორედ გაგრის დაცემის შემდეგ გადადექით?**

— არა. გაგრის ტრაგედიის შემდეგ ვმუშაობდი საჰაერო თავდაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილედ, ვიდრე სოხუმს არ გაუჭირდა. 1993 წლის სექტემბერში გამოვცხადდი თავდაცვის სამინისტროს გენერალურ შტაბში და ვითხოვე სოხუმში, რომელიმე საბრძოლო დანაყოფში გადაყვანა. იმ დღესვე დაიწერა ბრძანება ჩემი 51-ე მოტომსროლელი, გაძლიერებული, ბატალიონის მეთაურად დანიშვნის შესახებ. ამ ბატალიონის ფორმირება რეზერვისტთა ბაზაზე ხორციელდებოდა. ჩემი ამოცანა იყო, ორ კვირაში ჩამეტარებინა საბრძოლო წრთვნა, რის შემდეგაც სოხუმში გადაგვისროდნენ. სამწუხაროდ, მომზადების პროცესში ვიყავით და სოხუმი დაეცა. ამ ამბავს მოჰყვა გამსახურდიას შეიარაღებული რაზმების მიერ დასავლეთ საქართველოს გარკვეული ნაწილის დაკავება. მივიღე ბრძანება, რომ ბატალიონი სამეგრელოში გადამესროლა. გამოვცხადდი გენერალურ შტაბში და უარი ვუთხარი ბრძანების შესრულებაზე, რადგან ისევ ძმათამკვლელ ომში მითრევდნენ. ამას მოჰყვა ჩემი თადარიგში გასვლა, მას შემდეგ ჩემი არსებობის შესახებ თავდაცვის სამინისტროს არ გახსენებია.

**— სულ თავიდან როგორ მოხვდით ეროვნულ გვარდიაში?**

— ერის ღირსების დამცველთა ასოციაცია „იმედი“ ჯერ კიდევ გუმბარიძის დროს შეიქმნა. უიარაღოდ გავდიოდით საბრძოლო და თეორიულ სამხედრო მომზადებას. 1991 წლის 3 მარტს „იმედის“ ყრილობის გადაწყვეტილებით ჩვენ მთლიანად შევედით გვარდიაში.

**— რატომ გავიდა ეროვნული გვარდია რკონში პუტჩის დროს?**

— რკონში გვარდია პუტჩამდე გავიდა. მომზადებული იყო დიდი სასწავლო-საწვრთნელი სწავლების გეგმა, რომელიც იქ უნდა ჩატარებულიყო. ამას დაემთხვა „პუტჩი“ და ჩვენ დაშლილად გამოგვაცხადეს. შემოგვთავაზეს შინაგან საქმეთა სამინისტროში გავთქვეფილიყავით.

**— თენგიზ კიტოვანი ამას შეეწინააღმდეგა, მაგრამ გვარდიელები როგორ შეხვდით ამ გადაწყვეტილებას?**

— დიდი უკმაყოფილება იყო გვარდიაში. როდესაც „პუტჩის“ ამბავი მოვიდა, ყველა ჩვენგანი გრძნობდა, რომ დადგა დრო სამშობლოს დასაცავად. ის „პუტჩისტები“ რომ შემოგვსეოდნენ, ჩვენ მზად ვიყავით დავხვედროდით და თავი შეგვეწირა. შეიძლება სასაცილოდაც კი გამოვჩენილიყავით, მაგრამ თავს შევაკლავდით სამშობლოს გულისათვის. სწორედ მაშინ, ასეთი ალტყინების ფონზე, გამოცხადდა გვარდია დაშლილად. არც თუ ცოტანი ვიყავით მაშინ, 12 ათასი კაცი გვყავდა რკონში. დაშლის არგუმენტი იყო, რომ გვარდია უნდა გადავარჩინოთო. პოლიტიკურად იქნებ სწორიც იყო, მაგრამ სხვა სიგნალებიც მოდიოდა ცალკე კიტოვანთან შტაბში, ცალკე ჩვენთან, რომ დასახული იყო გვარდიის ფიზიკურად განადგურების გეგმა.

**— ხომ ხედავთ, თქვენს წინააღმდეგობას რამდენი ტრაგედია მოჰყვა.**

— დიახ, მაგრამ გამსახურდიას გადაწყვეტილება არ იყო სწორი, ჯერ დაშლა გამოაცხადეს და მწვავე რეაქციის შემდეგ კი — ჩვენი პოლიციაში გადანაწილება, საპოლიციო უფლებების მინიჭება. მე მიმაჩნია, რომ გადატრიალება ქართველი ერის ისტორიაში იყო უზარმაზარი შეცდომა და ტრაგედია.

**— შემდეგ რა მოხდა?**

— თბილისში მიმდინარეობდა ტელევიზიის აქცია, რაიმე შეცდომა რომ არ მომხდარიყო, გვარდია ჩამოსცილდა მათ და თბილისის ზღვაზე გავიდა. იქ დაგვარტყეს ალყა. კიდევ კარგი, მაშინ ამას არ მოჰყვა დიდი დაპირისპირება, თორემ უამრავი სისხლი დაიღვრებოდა.

**— სისხლი ხომ მაინც დაიღვარა?**

— როდესაც რუსთაველზე პირველი ტყვია გავარდა, მაშინ ზღვაზე ცოტა ხალხი იყო დარჩენილი. მაგრამ შემდეგ მოაწყდა რუსთაველს მოხალისეები, თურმე ძალიან ბევრი უთანაგრძნობდა ამ ხალხს.

**— თენგიზ კიტოვანი როგორი მებრძოლი იყო?**

— იგი აფხაზეთში ბრძოლებს არ ხელმძღვანელობდა, ამიტომ ვერაფერს გეტყვით. ძალიან კარგად მოახერხა ეროვნული გვარდიის ორგანიზება. მის მხრებზე შეიქმნა გვარდია. მაგრამ კიტოვანმა ვერ დაითანხმა გამსახურდია, რომ იარაღის წარმოება დაეწყო ჩვენს ქვეყანას. იარაღის ერთადერთ წყაროდ რუსებისგან ყიდვა რჩებოდა. შემდეგ, 1992 წელს, იარაღის ნაწილი რუსებმა ქვოტებით გადმოგვცეს. როგორც მინისტრი, კიტოვანი ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე ყარყარაშვილი. ყარყარაშვილი უფრო მებრძოლი იყო, ასაკი თავისას შვრებოდა.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ გადაწყვიტა თენგიზ კიტოვანმა 13 იანვარს ლაშქრობა?**

— ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ, ვფიქრობ, დიდი შეცდომა მოუვიდა. მგონი გარემოებამ აიძულა ეს ნაბიჯი გადაედგა, ის აიძულეს ასე მოქცეულიყო.

**— გია ყარყარაშვილზე რას იტყოდით?**

— გია აქტიური მებრძოლი იყო და ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი საბრძოლო ნიჭით. სამწუხაროდ, სტრატეგიაზე იგივეს ვერ ვიტყვი. სამხედრო პროფესიონალიზმი მას არ აკლდა, მაგრამ სამხედრო სტრატეგია ცოტა სხვა რამეს გულისხმობს. სარდალს სამხედრო-პოლიტიკური ხედვა უნდა ჰქონდეს. გიას მხოლოდ ერთი მხარე ჰქონდა განვითარებული.

**— აფხაზეთის ომის ტრაგედიაზე ბევრს წერენ. ამ ბრძოლების მონაწილეები და შემსწრე სამოქალაქო პირებიც ხშირად ერთმანეთისაგან ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას გვაწვდიან. თანდათან საერთო სურათი ათას ნაწილად იმსხვრევა და ძნელი ხდება მისი შეკვრა. იქნებ თქვენ გეცადათ და ალგვედგინათ ის ბრძოლები, რომელშიც პირადად იღებდით მონაწილეობას. როგორც ვიცი, გაგრის ბრძოლებში მონაწილეობდით?**

— დიახ, ომის დაწყების მეორე დღეს (1992 წ. 15 აგვისტო), ღამით, შემატყობინეს, რომ განგაშია გამოცხადებული. გავეცი ბრძანება, ჩემს დაქვემდებარებაში მყოფი 26-ე ბატალიონი, სრული აღჭურვილობით მზადყოფნაში ყოფილიყო და გამოვცხადდი თავდაცვის სამინისტროში. იქ დამხვდნენ ავთანდილ ცქიტიშვილი, პაატა დათუაშვილი, თამაზ დუმბაძე და მაისურაძე (სახელი აღარ მახსოვს). პაატა დათუაშვილმა სამუშაო ოთახში გამიხმო და გამაცნო სოხუმის ფრონტის საერთო სურათი. ჩვენი ნაწილები იქ მთლიანად არ იყო ჯერ შესული. შემდეგ მომიყვა, რომ შავნაბადის ბატალიონი, აკია ბარბაქაძის მეთაურობით ეცადა სოხუმში გადასვლას, მაგრამ იქ გადასვლა ვერ მოხერხდა დიდი წინააღმდეგობის გამო. ამიტომ გაცურეს გუდაუთისაკენ, მაგრამ იქაც ვერ გადავიდნენ. მაშინ გემმა კურსი აიღო ლესელიძე-განთიადისკენ. იქ მოხერხდა დესანტირება, მაგრამ ძალიან გაუჭირდათ, არის მსხვერპლი და დაჭრილები. წინასწარი მონაცემებით 20 კაცია მოკლულიო. პაატა დათუაშვილმა მითხრა: „შენი ამოცანაა, ჩაიყვანო შენს ხელთ არსებული ტექნიკა და 26-ე ბატალიონი ფოთში, სადაც დაგელოდებათ ბორანი და კატარღა. სასწრაფოდ უნდა გაემგზავრო ლესელიძე-განთიადისკენ აკია ბარბაქაძის დასახმარებლად“. დილით გავემგზავრეთ. მეორე დილით ჩავედით ლესელიძეში. გადასვლა უბრძოლველად მოვახერხეთ, რადგან იქ მყოფ ჩვენს სამხედრო ნაწილებს აკია ბარბაქაძის მეთაურობით ტერიტორია უკვე გაეწმინდათ მტრისაგან.

**— რამდენი კაცი დაგხვდათ იქ?**

— შავნაბადას ბატალიონის გარდა იქ იყვნენ: თელავის ბატალიონი, თავდაცვის სამინისტროს კონტრდაზვერვის 11 კაციანი ჯგუფი, 28 ბატალიონი და რაღაც „K9“-ის 15 მებრძოლი, რომლებიც მოხალისე „მაროდიორებს“ უფრო ჰგავდნენ. მოგვიანებით შემოგვიერთდნენ: ხაშურის ბატალიონი, „ავაზა“ და „ქართველ შევარდენთა ლეგიონი“. საერთო ხელმძღვანელობას გვიწევდა აკია ბარბაქაძე. მე დავინიშნე აკია ბარბაქაძის მოადგილედ, საბრძოლო მოქმედების მთავარი შტაბის უფროსად. ჩვენიანად 800 კაცამდე ვიყავით.

**— მხედრიონი არ იყო? თენგიზ კიტოვანი მხედრიონის მოქმედებას აფხაზეთის ომში ნეგატიურად თვლის, თქვენ რას იტყოდით?**

— სრული პასუხისმგებლობით შემიძლია დავადასტურო, რომ ბატონი თენგიზ კიტოვანი მართალია. მოგიყვებით, თუ როგორ განვითარდა მოვლენები. ჩემი ჩასვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ ჩემთან გაგრელი ახალგაზრდები მოვიდნენ და მთხოვეს გაგრაში გაგვეგზავნა რომელიმე ქვეგანაყოფი. წინა დღეებში აფხაზთა რაზმს უცდია იერიშზე გადმოსვლა, მაგრამ მოუგერიებიათ. ისინი შიშობდნენ, რომ განმეორებითი იერიშის დროს აფხაზები მეტ ძალას გამოიყვანდნენ. იმავე საღამოს 26-ე ბატალიონით ჩავედი გაგრაში. ჩვენებს საბრძოლო პოზიცია ეკავათ კოლხიდის ხიდთან, გაგრის კომისარიატის პირდაპირ. იქ შევხვდი გაგრის დაცვის ორგანიზატორებს. ყველას გვარი არ მახსოვს, იქ იყვნენ ანატოლი კაკუბავა, გაგრის სამხედრო კომისარი ზურაბ პაქსაძე და გაგრის მხედრიონის უფროსი ბადრი ფირცხელანი. 26-ე ბატალიონის რამდენიმე ოფიცერთან ერთად შემოვიარე საეჭვო ადგილები, გავანაწილე მებრძოლები საგუშაგოებზე და უკან დავბრუნდი. გაგრას ერთი მხრიდან ზღვა აკრავს, მეორე მხრიდან კი ტყე, რომელშიც გადის მთებისაკენ მიმავალი ალპიური გზა. გაგრელი მონადირეების და მწყემსების თქმით, ამ ტყეში აფხაზთა რაზმები დაძრწოდნენ. გადავწყვიტეთ ტყის გაწმენდა. გავაგზავნე მზვერავები: კოტე ვაშაკიძე და აწ- გარდაცვლილები: მიხეილ ოძელაშვილი, პავლე გიორგობიანი, ჯუმბერ მჭედლიშვილი. საღამოს დაბრუნდნენ სრული ინფორმაციით, გადაწყდა, გამთენიისას დაგვეწყო ამ ტერიტორიის გაწმენდის ოპერაცია. ოპერაციაზე გავიყვანე 120 მებრძოლი სრული შეიარაღებით, მაგრამ მოწინააღმდეგე უბრძოლველად გაიპარა. მათ საგუშაგოებზე მხოლოდ მჟუტავი ნაკვერჩხალი და ნასუფრალიღა დაგვხვდა. აღნიშნული ტერიტორიის კონტროლი, ალპიური გზის ჩათვლით, შავნაბადას ბატალიონს დაევალა, რომელსაც გიო თავდგირიძე მეთაურობდა.

**— აფხაზებს აღარ უცდიათ გაგრის აღება?**

— როგორ არა, ერთ დღეს რამდენიმე სხვადასხვა წყაროდან მივიღეთ ინფორმაცია, რომ აფხაზები გამთენიისას თავდასხმას აპირებდნენ და გაგრის აღება ჰქონდათ განზრახული. გადავწყვიტეთ მოწინააღმდეგეს დავხვედროდით იქ, სადაც არ გველოდა. მოვამზადეთ საინჟინროდ პოზიციები და ტექნიკა. ჯარის განლაგება „ტომრისებური“ იყო; შემოჭრილი მტერი სამი მხრიდან კონცენტრირებულ ცეცხლში ექცეოდა. გამთენიის ნაცვლად მოწინააღმდეგე ღამის 2 საათზე წამოვიდა იერიშზე. პირდაპირ ყიჟინითა და ხმაურით ცენტრალურ მაგისტრალზე მოდიოდნენ. ძირითადი ცოცხალი ძალა მიპარვით ცდილობდა ფლანგებიდან ჩვენს ზურგში შემოჭრას. მოწინააღმდეგე უცებ დაიბნა, რადგან ჩვენებმა მათი ძირითადი ნაწილი სიღრმისაკენ გაატარეს და შემდეგ სამი მხრიდან გაუხსნეს ცეცხლი. მტერი ალყაში მოექცა. ისე ღრმად იყვნენ „ტომარაში“, რომ გაქცევას აზრი არ ჰქონდა. სხვათაშორის არც უცდიათ, მოდიოდნენ და თავს გვაკლავდნენ. საათნახევარში ბრძოლა დამთავრდა. 80 კაცამდე დაკარგეს იმ დღეს აფხაზებმა. ჩვენგან მხოლოდ ერთი იყო მსუბუქად დაჭრილი. ყველაზე ცუდი კი ის მოხდა, რომ ვიღაცამ ზურგში ატეხა პანიკა, თითქოს მე და ჩემი მოადგილე, პაატა ნაზარიაშვილი, ბრძოლაში დავიღუპეთ. მტერმა ფრონტის ხაზი გაარღვია და კოლხიდა-გაგრის ასაწიოკებლად მოიწევსო. იმ ღამეს, ბრძოლა-გამოვლილებს კარდაკარ მოგვიწია სიარული, რათა ბარგაკრული, გასაქცევად გამზადებული მოსახლეობა დაგვეწყნარებინა. სხვათაშორის მტრის შემოტევა და ზურგში ატეხილი პანიკა ერთდროულად მოხდა. საწყენი იყო ისიც, რომ მეორე დღეს გაგრის გამგებელმა, ჯონი ლატარიამ, ტელევიზიას ინფორმაცია მიაწოდა, თითქოს გაგრის მხედრიონმა მოიგერია იერიში. სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები აფხაზეთის ომში ხშირი იყო. თითქოს არაფერი შავდებოდა, მოგება საერთო მოგება იყო, მაგრამ ასეთი ფაქტები გვარდიასა და მხედრიონს შორის გათიშულობას და კონფრონტაციას იწვევდა.

**— როდის ჩამოვიდა გაგრაში მხედრიონი?**

— სწორედ ამ წარმატებული ოპერაციის შემდეგ გავიგე, რომ თბილისიდან მხედრიონის დიდი ჯგუფი აპირებდა ჩამოსვლას, დაახლოებით 800 კაცამდე. ჩვენ 800 კაცი ვიყავით, დისციპლინირებული, სამხედრო შენაერთი. ამასთანვე, გაგრის სახალხო ლაშქრიდან, გაგრის კომისარს ზურაბ პაქსაძეს დავავალეთ 200 რეზერვისტის გაწვევა და გაგრის ბატალიონის ფორმირება. სასურსათო უზრუნველყოფა ჭირდა და ძირითადად გაგრის რაიონი გვაჭმევდა. უნდა ითქვას, გვლოცავდნენ, არც ყაჩაღობა იყო მაშინ და არც მაროდიორობა. კიდევ დამატებით ძალებს გაგრა ვეღარ გაწვდებოდა. მე და აკია ბარბაქაძემ მოვილაპარაკეთ და გამოვფრინდი თბილისში ორი მისიით: თენგიზ კიტოვანთან შემეთანხმებინა გაგრის ბატალიონის ფორმირების საკითხი და საჭირო აღჭურვილობა ჩამეტანა გაგრაში. ასევე მეთხოვა, როგორმე შეეჩერებინათ მხედრიონის გაგრაში ჩამოსვლა. თენგიზ კიტოვანს ბატალიონის ჩამოყალიბების ამბავი ძალიან გაეხარდა, მაგრამ მხედრიონის საკითხმა გაალიზიანა და ბ-ნ ედ. შევარდნაძეს დაურეკა: „რა უნდა გაგრაში? რატომ მიდის? მაგას თავისი ოცნების ასრულება უნდა, მაფიოზურ ქვეყანად აქციოს საქართველო და იბატონოს, ჩავა იქა და ყველაფერს აურ-დაურევს“. — ლაპარაკის შემდეგ მითხრა, შევარდნაძე გელოდება და სასწრაფოდ წადიო. თემურ ხაჩიშვილი იჯდა მასთან და ახლა იმას მიუბრუნდა: „თქვენი შექმნილია მხედრიონი, მოვა დრო და თქვენვე აგებთ პასუხს, რასაც ისინი შვრებიან“.

წავედი შევარდნაძესთან. გაგრის ბატალიონის შექმნის ამბავი მასაც მოეწონა. შემდეგ დაწვრილებით მოვახსენე, რა მდგომარეობა იყო გაგრაში და რა ტვირთად დააწვებოდა ქვეყანას მოწყვეტილ გაგრას კიდევ 600 მხედრიონელის გამოკვება, რომლებიც სრულიად ზედმეტი იქნებოდნენ საბრძოლო ოპერაციებისათვისაც. სიტყვა-სიტყვით მახსოვს შევარდნაძის სიტყვები, ცოტა ინერტულიც იყო, თითქოს არ მისმენდა: „რა არის იცით... თქვენ ჩემი შვილიშვილის ტოლები ხართ... არ არის ჯერ ცხოვრება ისე აწყობილი, რომ მას ვინმემ უთხრას, შენ იქ არ წახვიდეო და ის იქ არ წამოვიდეს (ჯაბას გულისხმობდა).

ამ სიტყვების შემდეგ რაღას ვიზამდი, გამოვემშვიდობე და წამოვედი.

**— მაშინ მიიღეთ თენგიზ კიტოვანისგან 300 ავტომატი?**

— სრული სიმართლეა, მაგრამ დრო გავიდა და ეტყობა აღარ ახსოვს, 200 ახალთახალი ავტომატი სრული კომპლექტაციით მე, მიშკა კერესელიძემ და გია ნებიერიძემ ჩავიტანეთ გაგრაში. ეს შევარდნაძის ნებართვით მოხდა. ჩავიტანე და გადავეცი ზურაბ პაქსაძეს, გაგრის სამხედრო კომისარს ბატალიონზე გასაცემად. იქ კი იარაღის გაცემის დროს უკვე ჩამოსული მხედრიონელები მიუვარდნენ და წაართვეს დიდი ნაწილი, „ჩვენ იარაღი არა გვაქვსო“. საინტერესოა, უიარაღოდ რა მოარბენინებდათ გაგრაში?

**— მართლა ყაჩაღობდნენ და ფულს აწერდნენ მოსახლეობას?**

— რაც არ მინახავს, არ ვიცი. შეწერა რად ჭირდებოდათ? ვისაც რა უნდოდათ, იმას ართმევდნენ. სხვათაშორის მხედრიონი გაგრაში დიდხანს არ დარჩენილა.

**— როგორი ურთიერთობა იყო მხედრიონსა და გვარდიას შორის?**

— დაიწყო გარკვეული დაძაბულობა. მხედრიონის ჩამოსვლამ ჩვენი რიგები არია. ამორფული ორგანიზაცია იყო, არ ჰყავდათ არც ოცმეთაურები, არც ასმეთაურები, ეს არ იყო სამხედრო სტრუქტურა. სახალხო ლაშქარსაც კი გააჩნია სტრუქტურა, ვიღაც მეთაურია და ვიღაცას ისიც ემორჩილება. ეს იყო ერთიანი, მაგრამ ამორფული ორგანიზმი. ბრძოლის ველზე ასეთი ორგანიზმის მართვა ფაქტიურად შეუძლებელია. მათ კი ძალიან ბევრ უფლებებს აძლევდნენ, იყო ძარცვის და ყაჩაღობის ფაქტები. ზოგიერთი სულმოკლე გვარდიელიც აყვა მათ. დისციპლინა მოეშვა ჩვენთან. ასევე დაიწყო ურთიერთკონფრონტაცია. ამას დაემატა ისიც, რომ მათთან ერთად ბრძოლაში გვარდიას 90-მდე კაცი დააკლდა, ზოგი დაიჭრა, ზოგი დაიღუპა. მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ გვარდიის ნაწილები სოხუმის ფრონტზე გადაეგზავნათ, მცირე ნაწილი კი მოკლევადიან შვებულებაში გაუშვეს. გაგრაში დარჩა მხედრიონი და გვარდიის მცირე ნაწილი. აი, სწორედ მაშინ დაკრა ფეხი მხედრიონმა და დატოვა გაგრა. ადგილზე დარჩა მხედრიონის 37 კაცი ვაჟა ქრისტესაშვილის ხელმძღვანელობით. აი, ისინი

გაგრძელება მე-8 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აბიტურიენტებისა და მე-11 კლასელთათვის

## დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“

### (განხილვა)

**ნოდარ გრიგალაშვილი**

(დასაწყისი იხ. „საქართველო“ №21)

### ტრაგი-კომიკური „სამანიშვილის დედინაცვალში“

„სამანიშვილის დედინაცვალის“ მთავარი პერსონაჟის, პლატონის აფორიაქებული სულის მოძრაობას ისე აღწერს მწერალი, რომ თუ ამ ციტატებს ცალკე ამოვწერთ და გვერდიგვერდ დავალაგებთ, წარმოგვიდგება კაცი, რომელიც თავისი უსაშველო კაეშნით ლამის ოიდიპოსისა და ჰამლეტის ტრაგიზმს აჭარბებს...

„გამწარებული ყმაწვილი კაცის გულში ცეცხლი ტრიალებდა, მისი ტვინი წისქვილის ბორბალივით მოუსვენრად ბრუნავდა“...

მერედა რისთვის? თუმცა ჯერ მისი აწეწილი სულის უფრო სრულყოფილი სურათი წარმოვიდგინოთ.

პლატონი „ცხადად ხედავს თავისი უბედურების მომასწავებელ ნიშანს და ამ მოულოდნელ უბედურების წინ წამდგარს, ენაც ერთმევა, გონებაც ეკარგება, სისხლიც უშრება...“

უბედურების შეგრძნებას სულით-ხორცამდე ისე მოუცავს მისი არსება, რომ სიზმარშიც არ სტოვებს საშინელი განცდები.

არ ესმის თავის ხმა პლატონს, თუმცა ყვირის, რაც ღონე აქვს. ხმა პირიდან არ ამოსდის. იქვე, გულში რჩება უღონო, სუსტი, გაუგონარი, და ეს უმატებს გამწარებას, უფრო უკლავს გულს, უხუთავს სულს, უმწვერვალესად აღელვებული კაცის თვალწინ ყოველივე აირია, აიშალა, ამოძრავდა: აცახცახებული, ათრთოლებული ძლივს დგას ფეხზე. ეს რაღა ამბავია?! რა არის ეს?! რა ამბავი ხდება დღეს ამ სახლში, ვინ შვრება ამას?“

რისთვის-მეთქი, ეს ყველაფერი, რა უბედურება დასტყდომია თავს ასეთი პლატონ სამანიშვილს?

მომხდური მიეჭრა და ოჯახის ნამუსი შეუგინა? — არა.

გადაწვეს, გადაბუგეს თუ თავად ხდიან ტანჯვა-წამებაში სულს? — არც ერთი ყოფილა, არც მეორე და არც მესამე.

იქნებ მსოფლიო და კაცობრიული სევდა აწუხებს და ვეღარ პოულობს ვერსად ადგილს? — გაგიგონიათ?!

მაშ რა უხუთავს სულს, რას გაუმწარებია და აულევლვებია ასე **„უმწვერვალესად?“**

იქნებ ქალი „შეიჭრა“ მის ცხოვრებაში და უიმედოდ შეყვარებულს სიცოცხლე სატანჯველად ექცა?

იქნებ სიკვდილმა წაჰგვარა ოჯახის მამას პატარა და ზვავივით მიასკდა უბედურება მის დაწყევლილ ყოფას? — არა.

არადა, უმიზეზოდაც არ არის გადარეული ეს ჩვენი პლატონი. საფუძველი კი ის გახლავთ, რომ ღმერთმა მის დედინაცვალს შვილი, ხოლო თავად პლატონს ძმა უნდა აჩუქოს (?)

კი არ წაჰგვარა ოჯახს პატარა, არამედ მოუვლინა ახალი სიცოცხლე. ეს ბედნიერება კი პლატონის უბედურების პირობაა, ვინაიდან იგი ახლადმოვლენილ არსებაში **ადგილის მოწილეს ხედავს მზისქვეშეთში.**

ახლა კიდევ ერთხელ წარმოვიდგინოთ ზემოთმოხმობილი ციტატების მიხედვით რა დღეშია პლატონ სამანიშვილი, რა უმწვერვალესია მისი ტანჯვა და ამ ტანჯვის მიზეზზეც რომ დავფიქრდებით, გამოიკვეთება სურათი ტრაგი-კომედიისა. სწორედაც შეგეცოდებოდათ პლატონი, თვით ამბავი სასაცილო რომ არ ყოფილიყოო—იტყვის ავტორი.

ერთი სიტყვით, ამ სიუჟეტით ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული. ის, რაც ჩვეულებისამებრ ბედნიერებაა, პლატონისთვის უბედურება გახლავთ.

ის, რაც ჩვეულებისამებრ უბედურებად ითვლება, პლატონი და მის დღეში მყოფი, მისი ალი-კვალი მეზობლები, ბედნიერებად თვლიან, მაგალითად, ხალხის შემცირებას, გამეჩხერებას, გნებავთ სათანადო დოზით გაწყვეტას...

ვინ არიან ეს ღვთისპირიდან გადავარდნილი არსებანი? იკითხავთ თქვენ და პარადოქსი ის არის, რომ სინამდვილეში არც კაცთმოძულენი გახლავან და არც ჭკუაზედ აფრაკად მყოფნი (ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ).

ერთი შეხედვით, დავითი თითქოს საგანგებოდ ეძებს კომიკურ სიტუაციებს, რათა თავის პერსონაჟთა აუტანელი ყოფა საკითხავად ასატანი გახადოს მკითხველისათვის, მაგრამ ეს სიტუაციები იმდენად ბუნებრივად იბადებიან კლდიაშვილის გმირების ხასიათებიდან და მათივე მიზნებიდან გამომდინარე, რომ ძნელია დაადგინოთ ზღვარი, სად მთავრდება ტრაგიზმი და საიდან იწყება კომიკური, სასაცილო ამა თუ იმ პერსონაჟის ქცევებისას.

ბეკინა სამანიშვილმა, ცოლის — მარიკას დაღუპვის შემდეგ ითმინა, ითმინა, მაგრამ თავიდან ვეღარ ამოიგდო ფარსაგი აზრი ახალი ცოლის თხოვისა. „არა... არ შეიძლება, რომ ეწყინოთ!.. მე რომ იმათ ვუყვარვარ!..“ — ასე ფიქრობდა ბეკინა, როცა ვაჟიშვილი პლატონი და რძალი მელანო გაახსენდებოდა ხოლმე თავის გაზრახვაზე საკუთარ თავთან მსჯელობის დროს.

მოხუცმა, როგორც იქნა, გულისნადები გაანდო შვილს, მაგრამ ნახეთ, როგორი კომიკური სიტუაცია იქმნება:

არ შეიძლება, რომ ეწყინოთო — ამ ფიქრით უფრო თავს იმშვიდებდა ბეკინა, თორემ მშვენივრად ხვდებოდა, რა სიამოვნებითაც შეხვდებოდნენ შვილი და რძალი ბერიკაცის გულისთქმის გამჟღავნებას. ხვდებოდა და ამიტომაც კაცი, მოციქული მიუგზავნა პლატონს. ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ მამა და შვილი. ახლა ის სურათი გავიაზროთ, მოხუცი მამა რომ კერიასთან ზის თავჩაღუნული, ხოლო მოციქული შვილს ბერიკაცის გულისფეთქვის ამბავს უხსნის ან გარეთ მომლოდინე, აწრიალებული ბეკინა წარმოვიდგინოთ შემდგომი მოვლენებით. ახალი ამბის მოსმენით გამწარებული შვილი რომ შუაკაცს გამოასწრებს გარეთ და აღშფოთებულ-სასოწარკვეთილი ჩასძახის მოხუცს: „მღუპავ, მამა? მღუპავ? დანას მიყრი ყელში?“

მოხდა ისე, რომ პლატონმა საკუთარი ხელით გალესა საკუთარ ყელში გამოსასმელი დანა, მის მიერ იძულებით გადადგმული ნაბიჯი მისი ტრაგი-კომიკური თავგადასავლის მიზეზად იქცა.

ზემოთ ვთქვით, ტრაგიკომიკური სიტუაციები ბუნებრივად იბადებიან კლდიაშვილის გმირების ხასიათებიდან და მათივე მიზნებიდან გამომდინარე. პლატონის მიზანი გასაგებია. სიღარიბეში ხდება სული, ცოლ-შვილს საკმარისი ლუკმა არა აქვს და თუ ბეკინას შვილი ეყოლება, თანაც ვაჟი, მაშინ მას მიწას გაუყოფენ. „ქონება“ ორად გადანაწილდება, ამიტომ რაკი ბერიკაცს განზრახვაზე ხელი ვერ ააღებინა, რადაც უნდა დაუჯდეს, ისეთი სადედინაცვლოს პოვნაა საჭირო, გარანტირებულად უშვილძირო რომ იქნება. და ეძებს პლატონი ორნაქმარევ, უშვილო მანდილოსანს, რომელიც იმავდროულად ოჯახში შესაშვები და თანაც სახეყირმიზა თუ არა, ჯოჯოხეთის მაშხალაც არ იქნება.

პლატონის ბუნებრივი, გარემოებით ნაკარნახევი მიზანი ბუნებრივად ქმნის კომიკურ სიტუაციებს მთელი თანმხლები პერიპეტიებით.

როგორ გინდა მიადგე ამა თუ იმ ოჯახს და აუხსნა, — ორნაქმარევი, უნაყოფო ქალი ხომ არ გყავთ შინ ან ახლო-მახლო ხომ არ გეგულებათ ასეთი საპატარძლო დედაბერიო.

ხასიათებიდან გამომდინარე, ბუნებრივად შექმნილი კომიკური სიტუაციები ხომ ურიცხვია კლდიაშვილის თხზულებებში.

აზნაური სამანიშვილის ქონება, მართალია, ვირის კურტანს აეკიდება, მაგრამ კეთილშობილი სისხლი უჩქრიალებს ძარღვებში და მთელი დუნიის დასანახად როგორ იკადრებს, თავის სასახელო წინაპართა შთამომავალმა ფეხდაფეხ შემოიაროს იმერეთის მთებსა და ბორცვებზე შეფენილი სოფლები.

ითხოვა ცხენი, მაგრამ რად გინდა, საამქვეყნო ცხენს ალარაფერი ეტყობოდა და თავის გამობუსკულ თეძოებს ძლივს დაალასლასებდა. ზურგიც სულ გადატყაული ჰქონდა იმ შეჩვენებულ პირუტყვს, მაგრამ პლატონს ადვოკატი ივანე გვერდევანიძე დაემგზავრა. ცხენიც ლამის პლატონის კუდაბზიკობას შეეწირა. გადააჯდა მხედარი და პატრონ-ცხენმა მანამდე სტანჯეს ერთმანეთი, ვიდრე გვერდევანიძე არ ჩამოშორდათ გზაგასაყართან.

ის იყო არაქათგამოლეულ „ბედაურს“ შეღავათი მისცა მხედარმა, რომ მისი სიძის კირილე მიმინოშვილის სახლიც გამოჩნდა, საითკენაც პლატონი ეშურებოდა. რა ექნა კეთილშობილ აზნაურს, ისევ ცხენით უნდა შეჯირითებულიყო ეზოში...

მწერალი განუმეორებელ სურათს გვიხატავს თავმოყვარეობით გატანჯული კაცისა და ამ კაცით გატანჯული ცხენის ერთად „მგზავრობიდან“.

„შეღავათმიცემული ცხენი მისუსტებული, აძიგძიგებული ნაბიჯით აპოლიკდა ქვებიან ბრეკზე და რაც შეეძლო, რაც ღონე ჰქონდა შერჩენილი, მიჩანჩალებდა და ცდილობდა, უკან ჩამოეტოვებინა თავისი ჩამოქვეითებული მხედარი, რომ მტკივან ზურგზე არ შესკუპებოდა ხელახლად. რამდენსამე მანძილზე კიდევაც აუსრულდა წადილი გასაჭირში ჩავარდნილ პირუტყვს, მაგრამ ბოლოს პლატონი მაინც დაეწია, გააჩერა და მარდად მოახტა ზურგზე. ამ კაცმა თავის თავმოყვარეობის დაცვა ამჯობინა მის შებრალებას და სიძის ჭიშკრამდის ამხედრებული მივიდა“.

ძველი, არისტოკრატიული ჩვევები, რაკი ახალ დროში აზნაურთა სიძლიერეს ყავლი გასვლია, პირდაპირ ანეკდოტურ სიტუაციაში აგდებს მათ. თუმცა დაკარგულის კომპენსაციას დავითის გმირები „ახერხებენ“ და ამას ჩადიან ისეთი მეთოდით, რომლითაც მთლად სასაცილო მდგომარეობაში იგდებენ თავს. მათი ცხოვრების წესისათვის ტრაბახი ქცეულა აუცილებელ ატრიბუტად.

### ესთეტიური უდარდელობა ანუ სიბრძნე კვეხნისა და ბაქიობისა

თქვენ გახსოვთ ეს უცნაური სინტაგმა — სიბრძნე სიცრუისა. სიცრუე, რა თქმა უნდა, არანაირ კავშირში სიბრძნესთან არ გახლავთ, პირიქით, სიცრუე ბოლოს თავს იჩენს, ყოველი დაფარული ბოლოს მაინც გაცხადდების. სიცრუე ავნებს სულსაც და ხორცსაც. ეს საუკუნეებში გამოტარებული სენტენციები გახლავთ. ცხადია, სულხან-საბა ორბელიანი — „სიბრძნე სიცრუისა“ — ამ სინტაგმაში სიცრუე არაპირდაპირი მნიშვნელობით, ფიგურალურად გამოიყენება. სიბრძნე სიცრუის ანუ სიბრძნე გამოგონილი ამბებისაო. ანუ იგავად მითქვამს და ნათქვამში რეალური, მართალი ამბავი ამოიკითხეთო. ჩვენ კი პირდაპირი მნიშვნელობით მოვიხმეთ აღნიშნული ქვესათაური. დიახ, კლდიაშვილის გმირების კვეხნასა და ბაქიაობას, ტრაბახს თავისებური სიბრძნეც უდევს საფუძვლად, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მათი ტრაბახის მიზეზი მათივე ხასიათი და ამპარტავნებაა. რაკი არსებულსა და შესაძლებელს შორის დიდი ზღვარია. მათ კი არსებული არ მოსწონთ და შესაძლებელი ეოცნებებათ... „იძულებულნი“ არიან კვეხნა-ტრაბახით შეავსონ უფსკრული რეალურსა და სასურველს შორის. ზოგჯერ კი ისე შორს მიდიან, თავადვე სჯერათ ის, რის შესახებაც ტრაბახობენ. ბეკინა ასე მოძღვრავს შვილსა და რძალს: „ღმერთმა იცის და ყველა ხედავს, რომ არა გიჭირთ-რა: მიწაც საკმაოდ გაქვთ, თუ სხვაზე მეტი არა. წყალიც სახლიც, კარიც... ტყეც და ველიც! (ეს კი მეტი წამოსცდა ბეკინას — ტყე სრულიად არა ჰქონებია).

არისტო რომ არისტოა, ქვაშავიძე, მართლა შავ დღეზე გაჩენილი და ადამივით სასირცხოზე ლამის ფოთოლაფარებული, ისიც კი სხვის სიღარიბეზე ლაპარაკობს ერთობ ამაყად.

არაფერს ვამბობთ კირილე მიმინოშვილზე, რომელთანაც მსოფლიო ლიტერატურის ყველა ჭკუამხიარული პერსონაჟი მოწაფედ არ გამოდგებოდა, ხოლო მამის დანატოვარი რაკი სხვაზე მეტი, საერთოდ კი ცოტაოდენი რამ გააჩნია, კვეხნა-ბაქიაობაში ტოლს ვერავინ დაუდებს.

ყველაფერი ზემოთქმულის მიუხედავად, კლდიაშვილის პერსონაჟთა ტრაბახს თავისებური სიბრძნეც უდევს საფუძვლად, რომელიც სრულად წარმოაჩენს ამ ადამიანების ყოფის ტრაგიზმს და რომელიც პლატონის პირით ასეა გაცხადებული: „თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ!.. ნამეტან უსაშუალობაში ვართ ჩავარდნილი და გასაკვირალია, **რომ კიდევ ასე ხალისიანად ვართ, არაფრად ვაგდებთ ყველაფერს, არხეინად ვართ და** იმას კი აღარ ვფიქრობთ, თუ რა მოგველის წინ... რას გვიპირობს მამაზეციერი!.. **მარა თავს თუ არ მივეძალეთ, გული თუ არ შევიმაგრეთ, სულ წავხდებით, ბატონო, სულ ერთიანად და ის იქნება!“**

ერთი სიტყვით, მთლად ისეც არ ყოფილა საქმე, ერთი ქართული ანდაზა რომ ამბობს, — გადარეულისათვის ნიადაგ ლხინიაო. ქართველი კაცი, გასაჭირის დროსაც ხალისიანი, ერთი შეხედვით ყოფილა მხოლოდ ხალისიანი და უდარდელი, თორემ კაეშანმოძალებულ მის ფიქრს და ზრახვას ზოგჯერ. ნიღბად, გნებავთ თავდაცვის საშუალებად სჭირდება „ესთეტიური უდარდელობის“ ის გრძნობა, რომლითაც გული თუ არ შევიმაგრეთ, ბატონო, სამანიშვილისა არ იყოს, სულ წავხდებით...

ესეც ერთი დასკვნა კლდიაშვილის პერსონაჟთა და იქნებ ჩვენი ტრაგი-კომიკური ყოფის შესახებაც.

გაგრძელება იქნება

„კარგა ხანია, რაც ტფილისი ბაბილონად არის გადაქცეული...
ვინ არ მოიყარა დღეს თავი ტფილისში... დღევანდელი ტფილისი საშინელია".

ვახტანგ კოტეტიშვილი
(გაზ. სოციალისტ-ფედერალისტი, 1921, 20 ივლისი)

„ჩვენ არ გვინდა საქართველო ისეთი სასტუმრო იყოს, სადაც ყოველ გამვლელ-გამომვლელს შეეძლება მოსძოვოს და გაერთოს ან თუ მოეწონება, აქ დარჩეს".

მეპრესე
(ივერია, 1921, 28 ივნისი)

# თურქები საქართველოს „ტროას ცხენს" „ჩუქნიან" (!)..

ქართველი ერი ისტორიული ბედუკუღმართობით ხშირად დამდგარა კატაკლიზმების წინაშე, მაგრამ ერის წინდახედულ შვილებს შორს გაუჭვრეტიათ, სიავე თავიდან აუშორებიათ ან გმირულად შებრძოლებიან და, ასე თუ ისე, ქვეყანა ჩვენამდე მოუტანიათ. ამ ქარტეხილების დროს ერს უჭირდა და იყო ქვეყნები, რომლებიც გვეხმარებოდნენ, გვიჭირს დღესაც და დღესაც გვეხმარებიან, მაგრამ ჩვენი მხრითაც, ჩვენს ერსაც არაერთგზის გაუწვდენია გაჭირვების ჟამს დახმარების ხელი სხვა სახელმწიფოებისათვის, ხოლო მისთვის, ვისაც დახმარება აღმოუჩენია, ისეთი მადლიერება გამოუხატავს მისდამი, რომ „შენი ჭირიმესა" და „შენ გენაცვალეს" ხალხი შეურქმევიათ. სამწუხაროდ, ჩანს ჩვენი „მადლობები" იმდენად მოუზომავია, რომ უცხო კაცის თვალში არასრულფასოვნების თუ არა, მიამიტობის ან გულუბრყვილობის შთაბეჭდილებას ტოვებს, რაც ერის ღირსების შელახვის ტოლფასი ხდება.

ერის ღირსების შელახვად მიმაჩნია ის, რომ ჩვენი დიდი მეზობელი, რომელიც ამ ბოლო წლებში ნამდვილად გაჭირვების ჟამს გვერდით გვიდგას, გაწეული სიკეთისათვის თურმე მეტისმეტ „სამაგიეროს" გვთხოვს.

წინადადებაცაა და წინადადებაც, როგორ უნდა ეჭიროთ თავი ქვეყნის მესვეურებს ისე, რომ გაუბედონ: თქვენს სამშობლოში მე ავიშენებ უნივერსიტეტსო... (ლაპარაკია „თურქეთის უნივერსიტეტზე").

ნუთუ ჩვენი ქვეყნის თავკაცები ისე მიამიტები არიან, რომ არ იცნობენ ჩვენი ისტორიული მეზობლების ბუნებას?

ნუთუ არ იციან, რომ „კავკასია" და განსაკუთრებით საქართველო ჩვენი დიდი თუ პატარა მეზობლებისათვის (არა მხოლოდ სახელმწიფოების, არამედ მცირერიცხოვანი ხალხებისთვისაც კი) ისტორიულად ბრძოლის ასპარეზს წარმოადგენს და ასეთი რამ არ უნდა გაებედნათ. ფაცაციასა და მარგიანს თუ შეეშალათ, განათლების მინისტრს — ჩვენში ოქრობირად ცნობილს — ხომ არ ეპატიება???

განა მას არ შეეძლო ეთქვა: თუ ასეთ გულუხვობას იჩენთ, ამ თანხით შიდა ქართლში — გორსა და ცხინვალს შუა „პედაგოგიურ ქალაქს" გავაშენებთ და ამით თქვენს სახელს უკვდავვყოფთ-თქვა...

ხოლო თუ განათლების მინისტრს მთავრობა აიძულებდა, იგი უბრალოდ უნდა გადამდგარიყო და ლიცენზია არ გაეცა.

— ახლა ხომ კომუნისტების დრო არ არის, რომ შეშინებოდა?!

ვაი თუ თურქეთის უნივერსიტეტი „ტროას ცხენი" აღმოჩნდეს???

მაშინ (99 წლის შემდეგ) ვისლა მოსთხოვონ ჩვენმა შვილთაშვილებმა პასუხი? რა ქნან?..

ეშველება კი რამე ჩვენს ისედაც სხვადასხვა ეროვნებით აჭრელებულ საქართველოს პატარა მიწას???

ბატონ დემირელის კეთილი განწყობა ჩვენდამი ხომ არ შეიძლება ყოველგვარი მოულოდნელობის გრანტი იყოს?!

ოციანი წლების დასაწყისში, რუსული ხიშტების დიქტატურის პერიოდში, „ინტერნაციონალისტები", განსაკუთრებით რუსები, მტკიცედ მოითხოვდნენ თბილისის უნივერსიტეტის გადაკეთებას ამიერკავკასიის უნივერსიტეტად (გასაგებია, რომ რუსულ სწავლებაზე გადასვლას, მაგრამ ქართველი ინტელიგენციის თავკაცებმა — მეცნიერებმა, მწერლებმა ისე აღიმაღლეს ხმა, რომ ვერ გაბედეს...


ოშკის მონასტერი, რომელიც ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე იმყოფება

ნუთუ ის, რაც რუსეთის იმპერიამ თავისი დიქტატურის პერიოდში ვერ შესძლო, ახლა ჩვენივე ნებით თურქ ბიზნესმენებს უნდა დავანებოთ?.. ასეთ შემთხვევაში სხვა მეზობელსაც ხომ აღეძრება მადა და რა ვუპასუხოთ?

სხვათაშორის, ოციან წლებში მეზობელი სახელმწიფოებიდან ხალხის შემოსვლამ საქართველოს ტერიტორიაზე ისე ფართო ხასიათი მიიღო, რომ ერთერთი საზოგადო მოღვაწე, პეტრე მირიანაშვილი წერდა: მარქსმა თქვა: პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდითო, მაგრამ ის კი არ უთქვამს, საქართველოში შეერთდითო.

ახლა ახალი ურთიერთობები დაიწყო. მსოფლიოში დადგა ინტეგრაციის ეპოქა, რასაც თავს ვერ დააღწევს ვერც საქართველო (და არც სასურველია). ამ პროცესს თან ახლავს ბიზნესმენთა მოძალება საქართველოში, მაგრამ არც ის უთქვამს ვინმეს, რომ ყველა ქვეყნის ბიზნესმენმა საქართველოში დაიდოს ბინაო.

ამიერიდან ათასგვარი მაცთუნებელი წინადადება ექნება უცხოელთაგან ჩვენი ქვეყნის საქმიან წრეებსა და თავკაცებს, მაგრამ მათ ყოველი „წვრილმანი" უნდა აწონ-დაწონონ და შორსმჭვრეტელობა გამოამჟღავნონ. მათ უფლება არა აქვთ იმსჯელონ იმ დუშეთელი გლეხივით და მის გამგებლივით, რომლებიც ამბობენ: უმუშევრები ვართ და სამუშაო და ფული გვინდა ოჯახისთვისო...

ნუთუ არ გაეგებათ, რომ ჩვენს მიერ გროშებზე გაცვლილი მიწა ჩვენივე შვილიშვილებს ფეხქვეშ გამოაცლის ნიადაგს და სხვა ტომი ჩამოგვისახლდება. საქართველო ერთი ხელის დადებაღა დარჩა და რაც დარჩა, პატრონობა უნდა; ქვეყანაში კი აღებ-მიცემობა მან უნდა იკისროს და მას უნდა დაევალოს, ვინც კარგად ერკვევა ეროვნულ პოლიტიკაში და მთავარი მაინც არ შეიძლება; თანამდებობის პირები დღეს არიან და ხვალ არ იქნებიან. ამიტომ საზოგადოებრიობას, [illegible] უნდობლად შევხედოთ მათ მოქმედებას: ნუთუ [illegible] არ არის ყოველი ჩვენ[illegible], რომ საქართველოში 1800 წელს რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ანექსიამდე მოსახლეობის 89 პროცენტი ქართველი იყო, ხოლო 1898 წლის აღწერით — 70,4 % შეადგენდა.

„თურქეთის უნივერსიტეტის" მშენებლობამ საქართველოში დღეს დიდი თავსატეხი გაგვიჩინა და ვინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ ხვალ კიდევ უფრო გართულებულ ვითარებასთან არ გვექნება საქმე? ახლა, როცა პერიფერიებსა და რეგიონებს უფლება აქვთ თავიანთი ტერიტორიების განკარგვისა, თავისუფალი ზონების შექმნისა და იჯარით გაცემისა, როცა ფორმდება ათასგვარი ეკონომიკური ხელშეკრულებები, გამორიცხული არ არის შეცდომებიც. ამიტომ აუცილებელია შეიქმნას საზოგადოებრივი (არა კაბინეტური) ბარიერი, ე.ი. რაღაც საბჭო იმ ქართველი სწავლულების — მეცნიერების, მწერლების, ხელოვნებისა და განათლების მუშაკთა სახით, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში სუფთა სინდისით ემსახურებიან ერის ინტერესებს. სწორედ ამ „საბჭოს" თანხმობის საფუძველზე უნდა მოხდეს მნიშვნელოვანი საგარეო გარიგების გაფორმება...

ქართული ინტელიგენცია, რომელმაც შეძლო ჭირთა თმენისა განვლოს ილია ჭავჭავაძის მიერ ნაჩვენები გზა, თანამედროვე ეტაპზე უფრო აქტიური უნდა გახდეს, რომ მსოფლიო ხალხების ინტეგრირების პერიოდშიც შეინარჩუნოს საკუთარი მიწა-წყალი, ენა და დემოგრაფიული დინამიკაც.

ამ მიზნით, როცა საჭიროა, უნდა მოვიშველიოთ ჩვენი საუკუნის ოციანი წლების გამოცდილებაც: გამოვაცხადოთ „კულტურული საალყო წესები" და „ვიბრძოლოთ კულტურული დიქტატურისათვის" ლოზუნგებით: „ენა", „მამული", „დემოგრაფიული დინამიკა!", რომ საქართველო დარჩეს ქართველთა მარადიულ ქვეყნად!"

**დავით თევზაძე**

ლიანა შეწირული:

# ორივე მხარეს ხომ პირველსკოლელები იყვნენ

**— რამდენი ხანია რაც პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევით?**

— 1953 წელს დავამთავრე თ.ს.უ. ისტორიის ფაკულტეტი და იმავე წელს დავიწყე მუშაობა პედაგოგად ქ. ბათუმის №11 საშუალო სკოლაში.

**— რა განსხვავებაა თქვენი დროის სკოლასა და დღევანდელ სკოლას შორის?**

— ჩვენი დროის სკოლასა და დღევანდელ სკოლას შორის დიდი განსხვავებაა. სსრკ არსებობის წლებში სასწავლო პროგრამები, სახელმძღვანელოები უნიფიცირებული იყო. დღეს, არა მარტო დამოუკიდებელ რესპუბლიკას, არამედ თითოეულ სკოლას აქვს უფლება აირჩიოს სასწავლო პროგრამები, სახელმძღვანელოები, სკოლის მოდელი. ყველაფერი ეს კი მოგვცემს საშუალებას მეტად შევძლოთ ახალგაზრდის უნარისა და შესაძლებლობების გაშლა, სწორად წარმართვა, რასაკვირველია, თუ სკოლა გონივრულად გამოიყენებს და განავითარებს ამ შესაძლებლობებს.

**— სწავლის მეთოდი I სკოლაში რაიმეთი ხომ არ განსხვავდება სხვა სკოლების სწავლებასთან შედარებით?**

— I სკოლაში სწავლის მეთოდი არ გამოირჩევა განსაკუთრებულობით. განსაკუთრებულია პედაგოგიური კოლექტივის მაღალი პასუხისმგებლობა, სურვილი სიახლეების ძიებისა, პატივისცემა სკოლისადმი.

**— როდესაც ადამიანი რაიმე საქმის სათავეში დგება, მას თავისი მეთოდები შემოაქვს. თქვენეული რა აქვს სკოლას?**

— 23 წელია I სკოლაში ვარ, ძნელია ვთქვა ჩემეული რა აქვს სკოლას, რადგან ეს სკოლა განსაკუთრებულია; მისი ორი საუკუნის ისტორია, ტრადიციები, გარკვეულ ჩარჩოში აყენებს სკოლის ხელმძღვანელს. მე ვგრძნობ საოცრად დიდ პასუხისმგებლობას, მე ხომ იმ სკოლას ვხელმძღვანელობ, სადაც წლების მანძილზე მუშაობდნენ უდიდესი პედაგოგები: ბატონი მ.ზანდუკელი, ბატონი ჯაჯუ ჯორჯიკია და ბატონი ნ.კიკვაძე. ჩემეული აქ ალბათ განსაკუთრებული მოწიწება და მოკრძალებაა სკოლის ორსაუკუნოვანი სახელოვანი ისტორიის მიმართ, სურვილი და დაუღალავი მუშაობა, რომ გაგრძელდეს და სიახლეებით შეივსოს ის, რაც ამ სკოლას გააჩნდა, რითაც ის იყო ცნობილი. რამდენად შევძლებთ ამას, დრო და თაობები იტყვიან.

**— ამბობენ, რომ მომავალი წლიდან სკოლა გიმნაზიის სახეს მიიღებს და ფასიანი იქნება. რას გვეტყვით ამის შესახებ?**

— გვაქვს სურვილი ახალი სასწავლო წლიდან სკოლამ სხვა შინაარსი შეიძინოს სასკოლო რეფორმის შუქზე. გვინდა გავაცოცხლოთ სკოლის ისტორია და სკოლა კლასიკურ გიმნაზიად გადავაკეთოთ. რაც შეეხება ფასიან სწავლებას, სკოლის ახალ შენობაში ერთი სასწავლო წლის მანძილზე მუშაობამ, მასწავლებელთა მძიმე მატერიალურმა პირობებმა, სკოლის დაბალმა მატერიალურმა ბაზამ გვაიძულა, გვეფიქრა ფასიან სწავლებაზე. თუ როგორ გადაწყდება ეს საკითხი, ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

**— როგორ აფასებთ განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებს?**

— განათლების სისტემაში რეფორმა აუცილებელია. ის რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაიწყოს, უფრო გაბედულად.

**— თქვენი შვილის თაობა თქვენ „დეიდა ლიანათი" მოგმართავთ, თქვენი შვილიშვილის თაობა „ბებია ლიანათი". რა განსხვავებაა „დეიდა ლიანასა" და „ბებია ლიანას" შორის?**

— ჩემი შვილების თაობისთვის „დეიდა ლიანა" ვარ, შვილიშვილის თაობისთვის კი „ბებია ლიანა".

„დეიდა ლიანა" — მკაცრი, საოცრად მომთხოვნია,

„ბებია ლიანა" — დამთმობი, ლმობიერი (ხანდახან დუმბაძის ბებიაც).

**— როგორ ათავსებს I სკოლის დირექტორი ქალბატონი ლიანა შეწირული ისეთ საპასუხისმგებლო საქმიანობას, როგორიც არის დიასახლისობა?**

— დიასახლისობა, სკოლის დირექტორის პასუხისმგებლობაზე ნაკლები არ გეგონოთ. მით უფრო, როცა ოჯახი დიდია. მთავარი დიასახლისობა ისევ მე მიწევს, ვერ გეტყვით მე ვერ ვთმობ თუ ოჯახის სხვა წევრებსაც აწყობთ ჩემი „მთავარი დიასახლისობა" ოჯახში.

**— I სკოლას წლების მანძილზე უამრავი ქარტეხილი ახსოვს. განსაკუთრებით 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენები. რას გვეტყვით კონკრეტულად ამის შესახებ.**

— ამ გაზეთის რედაქტორი, ბატონი ნოდარ გრიგალაშვილი I სკოლის ცოცხალი მემატიანეა. დღეს თაობებს მხოლოდ მისი წიგნი „ხე ცნობადისა" შემორჩა. დანარჩენი ყველაფერი ფერფლად იქცა. მან შესანიშნავად იცის, ორი საუკუნის მანძილზე რაც გადახდა ამ სკოლას, მაგრამ ასეთი მტკივნეული, საოცრად მძიმე უბედურება სკოლას არ ჰქონია — ორივე მხარეს ხომ პირველსკოლელები იყვნენ. ტკივილმიყენებული სკოლა ამ სასწავლებლის ისტორიაში წარსული არასოდეს იქნება — ის დღევანდელობაა, რომელიც ყველას აჩვენებს, რა შეუძლია გამოიწვიოს ურთიერთგაუტანლობამ, ერთმანეთის არდანდობამ...





**— როგორ და რა სახსრებით მოხერხდა სკოლის აღდგენა?**

— სკოლა აღადგენილი იქნა მოსკოვის მერიის სახსრებით., ბატონების გ.პოპოვისა და ი.ლუჟკოვის უშუალო მონაწილეობით.

**— გთხოვთ ინტერვიუ რაიმე ლირიკულით დავასრულოთ, გაიხსენეთ თქვენი ყველაზე ამაღელვებელი წუთები ან კურიოზული მომენტი.**

— ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე თან მსდევს სახე ჩემი მასწავლებლის — ქალბატონ ნინო გოგუაძე — ბერიძისა (რუსუდან ბერიძის დედა), რომელიც რუსულს გვასწავლიდა და მას ყველა „ნინა ალექსეევნას" ვეძახდით.

ქალბატონი ნინო დიდად განათლებული პიროვნება გახლდათ, დაჯილდოებული მაღალი ადამიანური თვისებებით. მიუხედავად იმისა, რომ მას ცხოვრებაში ბევრი გულის ტკივილი და უბედურება ჰქონდა გადატანილი, ის ჩვენთან დიდებული, ამაყი, გამგები, თბილი და მეტად მომთხოვნი ნინო მასწავლებელი იყო, რომელსაც ჰქონდა გასაოცარი უნარი სხვისი გასაჭირის გათავისებისა.

როცა უმაღლესი დავამთავრე, მიუხედავად იმისა, რომ მამა პედაგოგი იყო, პირველი გაკვეთილი ნინო მასწავლებელს ჩავაბარე (პატარა რუსიკო გაკვირვებული შემომცქეროდა, მე ისევ „მოსწავლის" როლში რომ დამინახა).

ვერ გეტყვით, როგორ ჩატარდა ჩემი პირველი გაკვეთილი მე-5 კლასში, მაგრამ დღეს ჩემში თუ რაიმე კარგია, ამაში დიდი წვლილი ჩემს ნინო მასწავლებელს მიუძღვის. მისი ნათელი სული, მისი მადლი დღესაც ჩემთანაა და მჯერა, რომ მლოცავს.

ეს პატარა მოგონება იყოს იმ პატივისცემისა და თაყვანისცემის გამოხატვა, რასაც დღესაც, როგორც მოსწავლე, ვგრძნობ ნინო მასწავლებლის მიმართ. სამწუხაროდ, რამდენიმე წელია ის აღარ არის.

**P.S.** ეს პატარა ინტერვიუ იყოს გზის დალოცვა თქვენთვის, როგორც კიდევ ერთი პირველსკოლელისათვის.

ესაუბრა
**ნინო მუშკუდიანი**
I საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ხომასურიძე:

# პიტოვანმა შევარდნაძეს დაურეკა: «რა უნდა გაგრაში. რატომ მიდის?»

მეხუთე გვერდიდან

სულით ხორცამდე მებრძოლები იყვნენ. დარჩენილი ნაწილები მაქსიმუმ 250 კაცს ითვლიდა. ამის შემდეგ დადგა გაგრის დაცვის საკითხი. სხვათაშორის, ის წართმეული ავტომატები მხედრიონელებმა თბილისში წაიღეს.. გაგრის გასამაგრებლად თბილისში შეიქმნა 101-ე და 102-ე ბატალიონები, რომელშიც ძირითადად ისეთი ხალხი შეგროვდა, რომ სამხედრო მომზადების ელემენტარული კურსი არ ჰქონდათ გავლილი. ერთადერთი გული ერჩოდათ სამშობლოს დასაცავად. გაურკვევლები იყვნენ, მოუმზადებლები და ეს ხალხი გაგრას ვერ დაიცავდა. მაგრამ პოლკოვნიკი მარინაშვილი მაინც რალაცნაირად ახერხებდა მათ მართვას.

ამასობაში 3 სექტემბრის ხელშეკრულება დაიდო. უნდა შექმნილიყო ბუფერული ზონა და იქ ჩამდგარიყვნენ დამკვირვებლები. 2 კვირის განმავლობაში ამაოდ ველოდით მათ. გადავედით საყარაულო რეჟიმზე, ჯარი მოეშვა. ვდგავართ, წინ წასვლის უფლება არა გვაქვს. ჩვენს ბიჭებზე კი სნაიპერები ნადირობენ, დღეში 2-3 კაცს გვიკლავდნენ. დაიწყო ჯარის დემორალიზაცია, მოხალისეებმა ხალისი დაკარგეს და თბილისში ითხოვდნენ დაბრუნებას. მარინაშვილი, სანამ ძალიან არ შეთხელდა ნაწილები, მათ სახლში უშვებდა. სწორიც იყო, შეშინებულ კაცზე საშიში არაფერია. ფაქტიურად ჩვენი საგუშაგოები სამიზნედ ჰქონდა მტერს გადაქცეული, თანაც დამკვირვებლები არ ჩანდნენ. გაგრის დაცემის წინა დღეებში მიშა მარინაშვილმა მთხოვა თბილისში ჩავსულიყავი და ხელმძღვანელობისათვის მომეხსენებინა და მეთხოვა, რომ ან დამკვირვებლები ჩამოსულიყვნენ დროზე, ან მოგვცემოდა აქტიური მოქმედების უფლება. თბილისში ჩამოსვლა, და მეორე დღეს გაგრა-კოლხიდას დაცემა ერთი იყო. ვერ მოვასწარი, დავაგვიანე.

— **თქვენ როდის დაიჭერით? მაშინ მიიღეთ პოლკოვნიკის ჩინი?**

— დავიჭერი მხედრიონთან ერთობლივი ოპერაციის დროს. ახალი ჩამოსულები იყვნენ და ბრძოლა სწყუროდათ. ჯაბა მეუბნებოდა: „დათო, გავაკეთოთ რალაც, ვქნათ რალაცა!" მე არ მინდოდა ამ არეულ სიტუაციაში იერიშის დაწყება. ბევრი ხალხი მოვგროვდით, გაგრა კი მოგეხსენებათ, ერთი ვიწრო ზოლია, გაშლილ ბრძოლას ვერ აწარმოებ. მე ვუთხარი, თქვენ დაგეგმეთ და მე შევასრულებ-მეთქი. ვიცოდი რისი დამგეგმავიც იყო... შეტევა მეორე დღეს დაიწყო დილით. მოვიდა ჩემთან, დათო მარტიაშვილი, თელავის ბატალიონის მეთაური და მითხრა, რომ მოძრაობა შეინიშნება მოწინაალმდეგე მხარეს. მგონი რალაცისთვის ემზადებიანო და მთხოვა მზვერავების გაშვება. მე ნება მივეცი და ყოველი შემთხვევისთვის ტექნიკაც მოვამზადეთ. ეს იყო 30 აგვისტოს. მზვერავებს შეტაკება მოუხდათ, მათ დასახმარებლად დაიძრა ტანკი და БТР-ი. ამან კი თავისთავად გამოიწვია იერიში და პროცესი უმართავი გახდა. მე ფაქტის წინაშე დავდექი. გამოვიდა მხედრიონი გახარებული, აბა დავიწყეთო! მასის ეგზალტაცია მოხდა, 600 კაცი ყვიროდა და დარბოდა, აბა, წავედით იერიშზეო. მე მომიხდა ამ ოპერაციის ხელმძღვანელობა. მაპატიეთ, მაგრამ ჯაბა იოსელიანს ვერ დავუტოვებდი ბრძოლის ველს, თუმცა მას სამხედრო სტრატეგად მოაქვს თავი. ჩვენ დაგეგმილი გვქონდა ოპერაცია, მაგრამ მხედრიონის ჩამოსვლამ დააჩქარა ეს იერიში. მარცხენა ფლანგი, ტყის მხარეს მხედრიონს ეკავა, მარჯვნივ 28-ე ბატალიონი იყო. შუაში კი თელავის, შავნაბადას და 26-ე ბატალიონი ტექნიკასთან ერთად მოდიოდა ცენტრალურ მაგისტრალზე. ბრძოლით გავიარეთ წითელი ჯვარი და იაფნარი. მარცხენა ფლანგზე მხედრიონმა დააგვიანა და ჩვენ იძულებული ვიყავით სვლა შეგვენელებინა, რადგან შეიძლება მოწინაალმდეგის მხრიდან ორმხრივ ცეცხლში მოვხვედრილიყავით. როგორც იქნა მოგვესმა, რომ ტყე-ტყე მხედრიონი სროლით გვიახლოვდებოდა. ამ დროს სამ მეტრიან კედელთან ვიდექი. მტრის ტყვიისგან დაცული ვიყავი. სწორედ მარცხენა ფლანგიდან სნაიპერის ნასროლმა ტყვიამ მარცხენა საფეთქელს ოდნავ ქვემოთ გამიარა. ზღვიდან ჭურვი ისროლეს და იქით გავიხედე, ამან გადამარჩინა. რუსეთის გემი გვბომბავდა და ჩვენს შეჩერებას ცდილობდა. სისხლი ვერაფრით შევიჩერე. უსწრაფესად გავრცელდა ჩემი დაღუპვის ამბავი. იძულებული გავხდი გამოვსულიყავი საავადმყოფოში. ბრძანება დავტოვე, ბრძოლა გაეგრძელებინათ, მაგრამ უკან რომ დავბრუნდი, ყველაფერი დაემთავრებინათ და პოზიციებს საინჟინროდ ამზადებდნენ წითელ ჯვართან. ასე მოვიგეთ ბრძოლა, მაგრამ ვერ განვახორციელეთ გეგმა, რომლის მიხედვითაც ბზიფი უნდა დაგვეკავებინა. სულ რამდენიმე კილომეტრი დაგვრჩა. ბზიფის აღებით ავათხარას გზა იკეტებოდა, საიდანაც კონფედერატები გადმოდიოდნენ გუდაუთისაკენ. შემდგომ ეტაპზე იერიში უნდა განგვეხორციელებინა ალახაძე — ბიჭვინთა — გუდაუთის მიმართულებით. სხვათაშორის იმ დღეს ბზიფში 200-მდე ხვანი გველოდა, რომლებიც ჩვენი მიახლოებისთანავე ზურგიდან დაარტყამდნენ აფხაზებს. ეს ჯაჭვიც გაწყდა.

— **ამ ბრძოლაში მიიღეთ წოდება?**

— არ მინდოდა თბილისში წასვლა, მაგრამ პაატა დათუაშვილი და ექიმები დაჟინებით მირჩევდნენ: „წადი, მოირჩინე ჭრილობა, დაისვენე და ჩამოდიო". ხუთი დღის მეტი თბილისში ვერ გავძელი და ნაკერების ახსნისთანავე გავფრინდი სოხუმში. თბილისში პოლკოვნიკის მორიგი წოდება მომანიჭეს ვადაზე ადრე. გაგრაში გადასვლის წინ სოხუმში ვნახე გია ყარყარაშვილი და პაატა დათუაშვილი. ვკითხე შემდგომი საბრძოლო დავალებების შესახებ. გიამ მითხრა, გაგრის შტაბი მიშა მარინაშვილს ჩავაბარეო. მივხვდი, რომ პოლკოვნიკის წოდების ფასად სამხედრო ხელმძღვანელობიდან მომაშორეს. დავბრუნდი გაგრაში და ჩემს 26-ე ბატალიონს ჩავუდექი სათავეში.

— **მარინაშვილთან ხომ არ გქონდათ რაიმე დაპირისპირება?**

— არა. იგი გამოწრთობილი ოფიცერი იყო, მაგრამ საბჭოთა სკოლა ჰქონდა გავლილი. ცნობილია, მათ მხოლოდ მაშინ შეუძლიათ წარმატებით მოქმედება, როდესაც ჯარი აწყობილია და ბრძანებას ემორჩილება.

— **უჭირდა მებრძოლებთან კონტაქტი?**

— არა, აქ სხვა ფაქტორთან გვქონდა საქმე. როდესაც მეთაურის ბრძანება არ სრულდება, ძნელია რამის გაკეთება. იგი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ერთი მხრიდან 101 და 102 რეზერვისტების მოუმზადებელი ბატალიონები; მეორე მხრივ ამორფული, ამაყი და თავნება მხედრიონი, რომელიც მხოლოდ თავის ბელადს ემორჩილება. იყო ბრძოლა პირველობისათვის, რომელსაც მხედრიონი ჩემულობდა, ხოლო მთელი პასუხისმგებლობა მარინაშვილს ეკისრებოდა.

— **ბზიფის ოპერაცია ჩაიშალა, გაეროს დამკვირვებლები არ ჩამოვიდნენ. ხომ არ მიანიშნებდა ყველაფერი ეს, რომ ომი, წინასწარ დაგეგმილი სცენარის მიხედვით, წაგებული გვქონდა?**

— რა თქმა უნდა, ამიტომაც გამომაგზავნა მარინაშვილმა თბილისში, იქნებ მოგისმინონ, ან გაეროს დამკვირვებლები ჩამოვიდნენ, ან იერიშის უფლება მოგვცენ, რათა ფრონტის ხაზი მაინც გაგვესწორებინა... გვიან იყო. შემდეგ გაგრის დასახმარებლად გამოეშურნენ „თეთრი არწივი" და სხვა ნაწილები, მაგრამ ვეღარაფერს უშველიდი, დემორალიზებული ჯარი გარბოდა.

გაგრაში, ჩემს მაგივრად, შემდეგ ბრძოლაში დაღუპული ლევან ასლანიკაშვილი დავტოვე 26-ე ბატალიონის მეთაურად. ჩვენი ბატალიონი ყველაზე ბოლოს გამოვიდა. ბიჭებმა ხიდი დანაღმეს, მაგრამ არ აფეთქდა, რადგან ვილაცას გადაეჭრა მავთულები.

ესაუბრა ლია აბაშიძე

# მიდიან ახლები, მოდიან ძველები

მესამე გვერდიდან

მოკალათებული პირველი პირების ფინანსურ მაქინაციებს, ჩვენს სინამდვილეში დიდხანს ვერ გაძლებდა თავის პოსტზე.

რ.შავიშვილის მოხსენებიდან გახდა პირველად ცნობილი, რა მოუსავლეთშიც მიდიოდა (თავი რომ დავანებოთ მავანთა კერძო ჯიბეებს) სახელმწიფო სახსრები. ამჯერად მხოლოდ ორიოდე მაგალითი: მაგალითად, როცა ჩვენთან ადამიანები სილატაკის ზღვარს დაბლა ცხოვრობენ, თუ ამას ცხოვრება ჰქვია, დიდი თანხა ირიცხება საქართველოდან სახალინზე სტიქიური უბედურებით დაზარალებულთა თანადგომისათვის. ეს თანხა იყო 3,8 მილიარდი კუპონი. ეს ყველაფერი ხდება მაშინ, როდესაც მხოლოდ 300 მილიონი კუპონი გამოიყო სენაკში 1993 წლის ბრძოლების შედეგად დანგრეული და გადამწვარი სახლების აღდგენისათვის.

კაცმა არ იცის, ვინ მოაწყო ამიერკავკასიის სამხედრო შტაბთან აფეთქება, რომელმაც ვგონებ ორიოდე ფანჯარა ჩალეწა და ამ დროს საქართველოს ხელისუფლება გამოყოფს მის შესარემონტებლად ასევე დიდძალ თანხას.

დაბოლოს, რეზო შავიშვილის გადაგომა სასურველი არ უნდა იყოს პრეზიდენტის პრესტიჟისათვის, მართალია, იგი „მოქალაქეთა" ამქრის წევრი არ არის, მაგრამ თუ პარლამენტი არ ფიქრობს, ვილაცამ ხომ უნდა დააყენოს მაღლა პირადულ და გნებავთ პარტიულ ინტერესებზე მაღლა სახელმწიფო ინტერესი?

ეს ერთადერთი სფერო იყო, რომელსაც გამობრძმედილი ძველი კომუნისტი არ ხელმძღვანელობდა და აი, როგორც ჩანს, ეშველება საქმეს. კონტროლის სისტემასაც ცოტა ხანში კონტროლზე აიყვანენ, რათა იქიდან ნებადაურთველი და უკონტროლო გამოსვლა არ მოხდეს მომავალში პარლამენტართა წინაშე...

მანანა იაშვილი

ტრაგიკულად დაიღუპა

## ავთანდილ (ანზორ) ქავთარაძე



— ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური და უპრეტენზიო წევრი. ნათელში იყოს მისი კეთილი სული. სამძიმარს ვუცხადებთ დაღუპულის ოჯახს და ახლობლებს.

გაზეთ „საქართველოს" რედაქცია

დაკრძალვა 23 ივნისს, კვირას, 15 სთ-ზე (ერეკლე მეორის შესახვევი №9).



**თარაზულად:** 5. შვეციის პრემიერ-მინისტრი, 1986 წლის მარტში მოკლული; 6. პარლამენტის ზედა პალატა გფრ-სა და ავსტრიაში; 8. უფერო, გაზისებრი საწვავი ნივთიერება; 9. ჰომეროსის პოემა; 12. ამერიკული მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდების სერიის სახელწოდება; 13. ხელმწიფე, რომელმაც მიიღო რუსეთს გადახვეწილი ვახტანგ VI; 14. სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის უდიდესი წარმომადგენელი; 15. სამხედრო წოდება; 16. შტატი ამერიკაში; 18. ქალაქი ჩინეთში; 20. სამეფო დინასტია ინგლისში 1461-85 წლებში; 22. რუსეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე; 26. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 28. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს და ამ ტერიტორიაზე არსებული ქვეყნის სახელწოდება ანტიკურ და ბიზანტიურ წყაროებში; 31. საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის მოღვაწე; 32. ქალაქი, რომელშიც 1973-75 წლებში ჩატარდა თათბირი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის შესახებ; 33. საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორ-განმკარგულებელი; 34. მამაკაცისადმი მიმართვა ესპანეთში; 35. მწერალი, რომელმაც რომანში „93 წელი" ასახა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ამბები; 36. ქალაქი-ნავსადგური ესპანეთში; 38. კათოლიკური მონასტრის წინამძღვარი; 39. ამომრჩეველთა წრე საპარლამენტო, საპრეზიდენტო ან მუნიციპალური არჩევნების დროს; 40. მდინარე საქართველოში (აფხაზეთში).

**შვეულად:** 1. ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე; 2. ევროპის ერთ-ერთი ქვეყნის დედაქალაქი; 3. ვნებიანი ქალბატონი, ქალაქის თავის, ნოშრევანის მეუღლე (ფილმი „ლონდრე"); 4. ვინ იცის, იქნებ რუსეთის პრეზიდენტი გახდეს... 5. ბელორუსიის სახალხო ფრონტის ლიდერი, ცნობილი ოპოზიციური მოღვაწე; 6. ინგლისელი პოეტი იტალიის განმათავისუფლებელი ბრძოლის მონაწილე; 7. ქართველი თავადი, რუსეთის იმპერატორის, პავლე I-ის ერთ-ერთი მკვლელი; 10. ტყავის სახესხვაობა; 11. რომის იმპერიის პროვინცია; 17. უკრაინის პრეზიდენტი; 18. ბუჩქოვანი მცენარე მომჟავო-მოტკბო ნაყოფით; 19. ჭექა-ქუხილისა და ქარიშხლის ღმერთი ინდურ მითოლოგიაში; 21. XIII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. თურქეთში დარჩენილი; 23. ცნობილი ესპანელი მომღერალი; 24. წარმოდგენა, რომელშიც მსახიობი თანდათანობით შიშვლდება; 25. თეატრში, მსახიობის მიერ მოკლული აშშ პრეზიდენტი; 27. პერსონაჟი ნ.დუმბაძის ნაწარმოებისა „საბრალდებო დასკვნა"; 29. ინგლისსა და აშშ-ში გავრცელებული ბანქოს თამაში; 30. გაზეთი, რომლის ნაპერწკლებმა სოციალისტური რევოლუციის ცეცხლი დაანთეს; 31. ქართველი მწერალი და დრამატურგი; 36. უსაფუძვლო ტრაბახი, რისამე შეთხზვა ვისიმე მოსატყუებლად; 37. თურქეთის აწ განსვენებული პრეზიდენტი.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი:
93-20-36,
პასუხისმგებელი მდივანი:
93-18-41